სახელმწიფო და დიასპორა
საერთაშორისო გამოცდილება

თბილისი 2015

კვლევა მომზადებულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ.

გამოცემა დაიბეჭდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის „საქართველოს და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

შინაარსი

სახელმწიფო მინისტრის მიმართვა 1

წინასიტყვაობა 3

აზერბაიჯანის რესპუბლიკა – თემურ ტარტარაშვილი 5

ესპანეთის სამეფო – თამარ გამილაღდიშვილი 8

თურქეთის რესპუბლიკა – თემურ ტარტარაშვილი 12

ინდოეთის რესპუბლიკა – ლელა შველიძე 17

ისრაელის სახელმწიფო – დავით ჩიკვაიძე 25

პოლონეთის რესპუბლიკა – მარიამ ქებურია, დავით ჩიკვაიძე 31

საბერძნეთის რესპუბლიკა – ეკატერინი კუპატაძიდუ 35

საქართველო – ნინა მატიაშვილი 38

სერბეთის რესპუბლიკა – გიორგი მერაბიშვილი 43

სომხეთის რესპუბლიკა – ალიონა ჩხოტუა, დავით ჩიკვაიძე 47

უკრაინა – დავით ჩიკვაიძე 51

ფინეთის რესპუბლიკა – დავით ჩიკვაიძე, ავთანდილ მიქაძე 54

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა – ნინა მატიაშვილი, სალომე დოლიძე, თორნიკე იკაშვილი 60

ISBN 978-99928-37-45-0

გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პოზიციებს.

სახელმწიფო მინისტრის მიმართვა

საქართველოს სახელმწიფოსათვის საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებზე ზრუნვა ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანია ქართულ დიასპორაში კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობის, ინვესტირების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საზოგადოებამ იგრძნოს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს დიასპორას ქვეყნისთვის. ამ ხალხის სულისკვეთება და ძალისხმევა სოციალური გმირობის ტოლფასია. ამას სწორი გააზრება სჭირდება. ჩვენ ვმუშაობთ ახალ მიდგომაზე, გვინდა ყველამ გაიგოს, რომ ქვეყნის მშენებლობა არის ერთიანი პროცესი, რომელშიც საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები აქტიურად მონაწილეობენ.

სწორედ ამ მიდგომების განვითარებისას სახელმწიფო მინისტრის აპარატი ეცნობა საერთაშორისო პრაქტიკას, სწავლობს დიასპორასთან ურთიერთობის გაუმჯობესების წარმატებულ მაგალითებს და ცდილობს, ჩვენი ქვეყნის რეალობის სრული გათვალისწინებით, კიდევ უფრო დახვეწოს პროგრამები, ღონისძიებები და, ზოგადად, სახელმწიფო პოლიტიკა ქართული დიასპორის მიმართ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუდამ ღიაა თანამშრომლობისთვის – ყველა ადამიანს საშუალება აქვს დაუბრკოლებლად მობრძანდეს ჩვენთან, მზად ვართ, მათთვის შევასრულოთ ერთგვარი გზამკვლევის ფუნქცია.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე გამოცემა თავის წვლილს შეიტანს დიასპორული თემატიკის წინ წამოწევის საქმეში და მკითხველს საშუალებას მისცემს აღმოაჩინოს სახელმწიფოების მიერ განხორციელებული მრავალი საინტერესო ინიციატივა სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებაში.

მინდა, მადლობა გადავუხადო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებს გაწე-

ული შრომისთვის და ჩვენ მეგობარ ორგანიზაციებს – მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს/CIPDD და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას/საია – ამ გამოცემის მხარდაჭერისთვის.

გელა დუმბაძე

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

წინასიტყვაობა

ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიასპორის საკითხებში ეფექტური, ურთიერთმხარდაჭერის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება. დიასპორის ჩართულობის უზრუნველყოფის გზით ბევრმა სახელმწიფომ განვითარების პროცესში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამიტომ არის ღირებული მათი გამოცდილების კარგად შესწავლა და გათვალისწინება საქართველოში დიასპორის სტრატეგიის სრულყოფის მიზნით.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი და **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/საია** დიასპორულ საკითხებზე 2013 წლიდან მუშაობენ ერთობლივი პროექტის – „საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“ – ფარგლებში. პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანას ისახავს. მიგრაციის დადებითი ეფექტების მიღწევის კუთხით, დიასპორის ჩართულობის გაზრდა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიმართულებით პარტნიორმა ორგანიზაციებმა გარკვეული წვლილი შევიტანეთ. პროექტის ფარგლებში ორგანიზება გავუკეთეთ ევროკავშირის ქვეყნებიდან თანამემამულეების ვიზიტს, რომლებმაც სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროში გამოცდილება გაუზიარეს საქართველოში ამ დარგში მომუშავე კოლეგებს.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა თემატური კვლევა „დიასპორა და სახელმწიფო: ირლანდია, იტალია და სლოვენია“, რომელშიც ევროკავშირის სამი ქვეყნის გამოცდილება არის აღწერილი. გამოცემა მომზადდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კოორდინაციით. პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენდა შესაბამისი ქვეყნების პოლიტიკაზე და პროგრამებზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის თავმოყრა და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა.

შესაბამისად, პროგრამის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, კავკასიურმა ინსტიტუტმა და საიამ გადაწყვიტეს, მხარი დაეჭირათ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატი-

ვისთვის განევრცო არსებულო კვლევა და მონაწილეობა მიეღოთ აპარატის თანამშრომლების მიერ მომზადებული კრებულის „დიასპორა და სახელმწიფო: მართვის გამოცდილება“ გამოცემაში. კრებულში აღწერილია თორმეტი ქვეყნის დიასპორული საკითხების მართვის გამოცდილება.

ვიმედოვნებთ, წინამდებარე გამოცემა დაეხმარება შესაბამის უწყებებს, საზოგადოებრივ და დიასპორულ ორგანიზაციებს, უკეთესად იყვნენ ინფორმირებული დიასპორული საკითხების მართვის არსებულ გამოცდილებაზე, რაც მათ ახალი პროგრამების განვითარება-დაგეგვაში შეუწყობს ხელს.

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/საია

აზერბაიჯანის რესპუბლიკა
Azərbaycan Respublikası

ზოგადი ინფორმაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სწრაფად დაიწყო განვითარება, რასაც ბუნებრივი რესურსების სიმდიდრემ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენს 86,6 ათას კვადრატულ კილომეტრს. ქვეყანა დაყოფილია 10 რეგიონად, რომელიც მოიცავს 66 რაიონს, 11 ქალაქსა და ერთ ავტონომიურ რესპუბლიკას. აზერბაიჯანის ფულის ერთეულია აზერბაიჯანული მანათი. ქვეყნის პრეზიდენტია ილჰამ ალიევი, რომელიც 2003 წლიდან მართავს სახელმწიფოს.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტი

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა 2002 წლის 5 ივლისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ბრძანებულებით. აღნიშნული უწყების შექმნას წინ უძღოდა 2001 წლის ნოემბერში აზერბაიჯანელთა პირველი მსოფლიო ყრილობის ჩატარება ქ. ბაქოში. ყრილობაში 36 ქვეყნის 406 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ ყრილობაზე გაჟღერდა დიასპორასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების შექმნის იდეა.

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისგან: კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე. კომიტეტი შედგება 8 განყოფილებისგან. ესენია:

- I ტერიტორიული სამმართველო – რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა
- II ტერიტორიული სამმართველო – ევროპის ქვეყნები
- III ტერიტორიული სამმართველო – აზია და კავკასია
- IV ტერიტორიული სამმართველო – ამერიკის ქვეყნები და კანადა
- ახალგაზრდებთან ურთიერთობის სამმართველო
- აგიტაციის, ინფორმაციისა და ანალიტიკური კვლევების სამმართველო
- სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კადრების სამმართველო

- საფინანსო სამმართველო
- მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

დიასპორის საკითხებში აზერბიჯანის სახელმწიფო აქტიურად მუშაობს რამდენიმე მიმართულებით:

საინფორმაციო კამპანიების წარმოება

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტის, ადგილსამყოფელ ქვეყნებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საელჩოებისა და კომპანია ,,სოკარის" მხარდაჭერით, აზერბაიჯანული დიასპორული ორგანიზაციები პერიოდულად აწყობენ კონფერენციებს, ფოტოგამოფენებს, წიგნების პრეზენტაციებს, ფილმების ჩვენებებსა და სხვა ტიპის ღონისძიებებს, რომლებშიც ასახულია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. ისინი წარმატებით ცდილობენ ამ საკითხების გაშუქებას ადგილობრივ მედიაში.

აზერბაიჯანული დიასპორული ორგანიზაციები განსაკუთრებით აქტიურობენ ხოჯალის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დროს. ამ პერიოდში დაახლოებით ასზე მეტი ღონისძიება იგეგმება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აზერბაიჯანული დიასპორული ორგანიზაციები ამ ღონისძიებებს ,,სამართლიანობა ხოჯალის" კამპანიის ფარგლებში ატარებენ. ნიშანდობლივია, რომ ამ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული თურქული დიასპორული ორგანიზაციები. ისინი ერთობლივად აწყობენ საპროტესტო აქციებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ცენტრალური ოფისების წინ და მოითხოვენ ხოჯალის გენოციდის აღიარებას.

აზერბაიჯანის კულტურის პოპულარიზაცია

2014 წელს დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტმა ჰეიდარ ალიევის ფონდთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან ერთად საზღვარგარეთ 181 კულტურული ღონისძიება ჩაატარა.

დისტანციური მეთოდით აზერბაიჯანული ენისა და ისტორიის სწავლება

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტი დისტანციური სწავლების მეთოდით საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ასწავლის აზერბაიჯანულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას, კულტურასა და გეოგრაფიას. ტარდება კონკურსები, რომლებიც ეძღვნება აზერბაიჯანული ენის პოპულარიზაციას. ერთ-ერთი ასეთი კონკურსია ,,ვისწავლოთ ჩვენი ანბანი", რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს აზერბაიჯანის დიასპორაში.

აზერბაიჯანული ლობის შექმნა

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტი აზერბაიჯანის საელჩოებთან და დიასპორის წარმატებულ წარმომადგენლებთან ერთად ცდილობს საზღვარგარეთ აზერბაიჯანული ლობის შექმნას. ამ უწყების 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დიასპორული ლობის შესაქმნელად წლის განმავლობაში აზერბაიჯანში დაიგეგმა და განხორციელდა 93 ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა უცხოელმა პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პარლამენტის წევრებმა და სხვებმა.

საზღვარგარეთ მცხოვრები აზერბაიჯანელებისათვის დიასპორული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტის ხელშეწყობით 2014 წელს საზღვარგარეთ დაარსდა 7 დიასპორული ორგანიზაცია და აზერბაიჯანული დიასპორული ორგანიზაციების რიცხვი 453 გახდა.

ადგილსამყოფელი ქვეყნების საზოგადოებაში აზერბაიჯანელების დასამკვიდრებლად გატარებული ღონისძიებები

დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტის 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თანამემამულეების ადგილსამყოფელი ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად გატარდა 66 ღონისძიება. ანგარიშიდან ჩანს, რომ რამდენიმე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში აზერბაიჯანული წარმოშობის პირის არჩევაში და აღმასრულებელ და სამართალდამცავ უწყებებში აზერბაიჯანელების დანიშვნაში აზერბაიჯანის სახელმწიფოს როლი იკვეთება.

ჰეიდარ ალიევის ფონდი

ჰეიდარ ალიევის ფონდი, რომელიც 2004 წლიდან ფუნქციობს, აქტიურ მონაწილეობას იღებს საზღვარგარეთ აზერბაიჯანული დიასპორის გაძლიერებასა და აზერბაიჯანის პოპულარიზაციაში. ფონდი ხშირად აწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და აფინანსებს ამ ტიპის პროექტებს საზღვარგარეთ, მათ შორის – ,,აზერბაიჯანული კულტურის დღეებს“ და აზერბაიჯანულ საღამოებს სხვადასხვა ქვეყანაში.

კომპანია „სოკარი“

აზერბაიჯანული დიასპორის გაძლიერებისა და აზერბაიჯანული კულტურის პოპულარიზაციის საკითხში ფინანსურად მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის შვილობილი კომპანია ,,სოკარი“, რომლის დაფინანსებით მრავალი პროექტი ხორციელდება. კომპანია აფინანსებს საზღვარგარეთ რამდენიმე ასეული სტუდენტის სწავლას. ,,სოკარი“ აფინანსებს საზღვარგარეთ აზერბაიჯანული კულტურის ცენტრების, საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობასა და ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რაც ხელს უწყობს აზერბაიჯანული დიასპორის განვითარებას. კომპანია ,,სოკარი“, ასევე, ასაქმებს ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ადგილსამყოფელ ქვეყნებში გახსნილ ბენზინგასამართ სადგურებსა და ოფისებში.

ამრიგად, აზერბაიჯანის სახელმწიფო აქტიურად მუშაობს დიასპორის გაძლიერების, ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებისა და კულტურის პოპულარიზაციის საკითხებზე. დიასპორის საკითხებში აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტს ამ საკითხში ფინანსურად ეხმარება ჰეიდარ ალიევის ფონდი და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის შვილობილი კომპანია ,,სოკარი“, რომლებიც საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ყველა პირობას უქმნიან, რათა ისინი ადგილსამყოფელ ქვეყნებში დამკვიდრდნენ და დროთა განმავლობაში ძლიერ ეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ.

წყაროები:

1. http://diaspora.gov.az/

ესპანეთის სამეფო
Reino de España

ზოგადი ინფორმაცია

მოკლე მიმოხილვა

ესპანეთის სამეფოს გამოცდილება მიგრაციულ პროცესებთან მიმართებაში განსაკუთრებით მრავალფეროვანია. საუკუნეთა მანძილზე ესპანელი მეფეები და მმართველები იპყრობდნენ მეზობელ სახელმწიფოებს ან თავად იყვნენ სხვა ცივილიზაციათა ტყვეობაში. სწორედ ამ ისტორიული სინთეზის შედეგია ის განუმეორებელი მიმზიდველობა, რაც დღეს ესპანურ კულტურას ახასიათებს და ტურისტებს ასე იზიდავს.

მიმზიდველობა ემიგრანტთათვის

არანაკლებ მიმზიდველია ეს სახელმწიფო ემიგრანტებისათვის, რომელთა უდიდესი ნაწილი სწორედ იმ ქვეყნებიდან მოდის, რომლებშიც ესპანელმა კოლონიზატორებმა ღრმა კვალი დატოვეს. კულტურული და რელიგიური გავლენა დღესაც კარგად ჩანს ლათინური ამერიკის ქვეყნებში. არანაკლებია ეს გავლენა თავად ესპანეთის სამეფოში შემავალ ქვეყნებშიც, როგორებიცაა, მაგალითად, კატალონია და ბასკეთი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოირჩევა უმდიდრესი დიასპორული გამოცდილებით. ამ უძველესმა ევროპელმა ერმა არა მხოლოდ მიიღო სხვა კულტურის, რელიგიისა და ეთნოსის წარმომადგენლები, რომელთა უდიდესი ნაწილი დღეს ბასკური საზოგადოებისა და კულტურის ნაწილად იქცა, არამედ თავად გაამდიდრა ისეთი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სპექტრი, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, ვენესუელა, არგენტინა, ჩილე და მრავალი სხვა. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის – საქართველოშიც, ჩამოიყვანეს ბასკები. მათი ერთი ნაწილი დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში, რამდენიმე ოჯახი კი საქართველოში ცხოვრობს.

ბასკური ემიგრაცია

ბასკური ემიგრაციის ისტორია, ძირითადად, XIX საუკუნეში იწყება. ქვეყანაში დიასპორასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელია სამთავრობო უწყება, რომელიც ბასკეთის პრეზიდენტის სამსახურის საგარეო საქმეთა კომიტეტის მიერ არის შექმნილი და ავტონო-

მიური მთავრობის მიერ ფინანსდება. ამ კომიტეტის დამსახურებით ბასკური ემიგრაციის ისტორია უკვე ფოტო და დოკუმენტურ ციფრულ არქივებში არის ასახული. ეს ისტორია კი შექმნა და შემოინახა მიმღებ ქვეყნებში ბასკების მიერ დაარსებულმა „ბასკურმა სახლებმა“, სხვადასხვა ასოციაციამ და ფონდმა, ბასკურმა ცენტრებმა (მსოფლიოს 22 ქვეყანაში 165 ასეთი ცენტრია რეგისტრირებული), სხვადასხვა სახის პერიოდულმა გამოცემებმა, ბასკეთის ავტონომიაში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მუშაობენ „ისტორიული მეხსიერების“ თემატიკაზე, მაგალითად, ევროპის ერების ინსტიტუტის ბასკური ფონდი და ა.შ[1].

მსოფლიოში მიმოფანტულ ბასკებს არ დაუკარგავთ თვითმყოფადობა. მათ გაამდიდრეს მრავალი ქვეყნის კულტურა და მიმღები ქვეყნების კულტურაც ჩამოიტანეს ისტორიულ სამშობლოში.

ევროპული პოლიტიკა მიგრაციული პროცესების მიმართ: ესპანეთის სამეფოს და ბასკეთის მაგალითი

ესპანეთის სამეფო, როგორც ნებისმიერი იმპერიული სახელმწიფო, სხვადასხვა ერის და ეთნიკური ჯგუფის გამაერთიანებელი სახელმწიფოა. „ესპანეთის მოქალაქეთა სტატუსის“[2] განახლებული ვარიანტი, რომელიც დიასპორულმა ფონდმა „ესპანელები საზღვარგარეთ“ გამოსცა 2008 წელს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძველი სახელმწიფოებრივი მიდგომა იმ იმპერიულ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული, რომელიც ერთიანი ესპანელი ერისა და საზღვრების განუყოფელობას ქადაგებდა. ბასკებს და ბასკურ ემიგრაციას, ორ ათეულ წელზე მეტია, თავისი აქტიური წვლილი შეაქვთ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პროცესებში. ბასკეთის ხელისუფლება თავის დიასპორასთან ერთად მართავს კონგრესს ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ. „მსოფლიოს ბასკთა კონგრესზე“ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ბასკი მეცნიერები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იკრიბებიან. ამ კონგრესებზე იგრძნობა ბასკური ენის ჯერ კიდევ ნაკლები ცოდნა და გამოყენება. თუმცა, ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს მუშაობა და ბასკური ენის[3] აკადემია ცდილობს, ხელი შეუწყოს განახლებული საერთო სალიტერატურო ენის დამკვიდრებას. უნდა ითქვას, რომ ბასკ ემიგრანტებს მშობლიური ენა არც ამერიკისა და არც ევროპის კონტინენტზე დაუკარგავთ. დღეს ამ ენაზე სულ უფრო მეტი ბასკი და ბასკეთში მცხოვრები ემიგრანტებიც საუბრობენ.

დიასპორა

ესპანეთის დიასპორა შედგება ეთნიკური ესპანელებისგან და საუკუნეების წინ კოლონიზატორ ემიგრანტებად ესპანეთიდან წასულთა შთამომავლებისგან. ესპანეთის სამეფოს დიასპორები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის გაფანტული, კერძოდ, ეს ქვეყნებია: არგენტინა, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, კუბა, მექსიკა, პერუ, ურუგვაი, ვენესუელა და სამხრეთი ამერიკის სხვა ქვეყნები. შედარებით ნაკლებია ესპანური დიასპორები ჩრდილო ამერიკაში, კანადასა და კონტინენტურ ევროპაში. ესპანური დიასპორის და-

[1] სრული ინფორმაცია ბასკეთის ავტონომიის ოფიციალურ ვებპორტალზე: www.euskadi.net და www.inst-europ.org
[2] http://213.192.236.136/s/ramon-rubial/quienes-somos
[3] ბასკური ენა აკრძალული იყო ფრანკოს დიქტატორული რეჟიმის მიერ (ავტორი).

არსება დაიწყო მე-15 საუკუნეში, როდესაც ჰენრი მესამემ და მისმა შთამომავლებმა დაიწყეს სამხრეთი ამერიკის კოლონიზაცია.

ესპანეთის პირველი ეკონომიკური კრიზისის დროს გერმანიამ და შვეიცარიამ მიიღეს ესპანელი ემიგრანტების მნიშვნელოვნად გაზრდილი რაოდენობა. 1996 წლიდან მოყოლებული დღემდე, ოფიციალური მონაცემებით, **108,276** ათასი ეთნიკურად ესპანელი ცხოვრობს და მუშაობს გერმანიაში. შვეიცარიაში კი ესპანელი ემიგრანტების რიცხვი 7%-ით გაიზარდა და, მიახლოებით, 75 ათასს მიაღწია. ესპანელი მოსახლეობის სიჭარბე ფიქსირდება ა.შ.შ-შიც. ესპანეთის ეროვნული სტატისტიკის ინსტიტუტის (http://www.ine.es) თანახმად, 2008 წლიდან ეთნიკურად ესპანელი ემიგრანტების რიცხვმა 11%-ით იმატა, რაც მთლიანობაში 75 ათას ადამიანს უტოლდება. სამხრეთი ამერიკის ქვეყნებშიც ფიქსირდება ესპანელი მოსახლეობის მატება; ჩილეში მათი რაოდენობა 9.2 პროცენტით გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ ესპანელი ემიგრანტების რაოდენობამ 48 ათასს მიაღწია. ახალი კვლევის[4] თანახმად, ამჟამად 2 058 000 ესპანელი ცხოვრობს ესპანეთის სახელმწიფოს საზღვრების გარეთ[5].

დიასპორის მართვის სტრუქტურა ესპანეთის სამეფოში

ესპანეთის სამეფოს თითქმის ყველა ავტონომიურ ერთეულს აქვს დიასპორასთან ურთიერთობის საკუთარი სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ესპანეთის მთავრობის მიერ 2006 წლის 14 დეკემბერს დამტკიცებულია წესდების თანახმად „საზღვარგარეთ მცხოვრები ესპანელების გენერალური სამდივნო“ (ესპანეთის შრომისა და სოციალური დაზღვევის სამინისტრო) წარმოადგენს არჩევით საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც იცავს უცხოეთში მცხოვრები ესპანელების უფლებებს და არეგულირებს მათ, ასევე, არეგულირებს დაბრუნებულ ემიგრანტთა და რეპატრიანტთა ურთიერთობებს სახელმწიფოსთან.

სამდივნოს ფუნქციებში შედის იმ ნორმატივების აღსრულება და მართვა, რომლებიც წესდების მიხედვით განსაზღვრული რეგლამენტით რეგულირდება. სამდივნოს წევრები (მრჩევლები) ირჩევიან 4 წლით და წარმოადგენენ იმ ძირითად ქვეყნებს, სადაც ესპანელების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ცხოვრობს და საქმიანობს. მაგალითად, საქართველოში აღრიცხულია ესპანეთის 20 მოქალაქე და, შესაბამისად, სამდივნოში მათ არ ჰყავთ საკუთარი წარმომადგენელი. მაგრამ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არგენტინა, 4 მთავარი და 4 „სათადარიგო“ წარმომადგენელია დამტკიცებული; ვენესუელაში – 3 მრჩეველი და 3 „სათადარიგო“, ხოლო მეხიკოში – 2 მრჩეველი და ერთი სათადარიგო წარმომადგენელი.

გენერალურ სამდივნოს მართავს ე.წ. საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

– **პრეზიდენტი** (თავმჯდომარე)

– **ვიცე-პრეზიდენტები** (ერთი შეირჩევა იმიგრაციის და ემიგრაციის გენერალური სამდივნოდან, ხოლო მეორეს ფუნქციას ასრულებს საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე)

[4] http://www.sepe.es; http://www.ine.es

[5] http://www.elmundo.es/espana/2014/03/20/532ac41d22601d15088b456c.html

– **მდივანი** (ამ ფუნქციას ასრულებს თავად მიგრაციის სამდივნოს გენერალური მდივანი)

– **მრჩევლები**, თავად დიასპორის მიერ არჩეული წარმომადგენლები, სფეროების და დიასპორული ორგანიზაციების მიხედვით.

მიმდინარე პროგრამები

ელექტრონული ქსელი საზღვარგარეთ მცხოვრები ესპანელებისათვის:

Portal para la Ciudadanía Española en el Exterior:

http://www.ciudadaniaexterior.empleo.gob.es/es/index.htm

ესპანეთის სამეფოს მთავრობის ძალისხმევა, რომ სახელისუფლებო ორგანოები მაქსიმალურად ემსახურებოდეს უცხოეთში მცხოვრებ ესპანელებს, საზოგადოების განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობს. ამ მიზნით და შესაბამისი წესდების თანახმად, შეიქმნა სპეციალური ონლაინ-ქსელი, რათა ნებისმიერ კითხვაზე და პრობლემაზე, რომელიც გაუჩნდება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ თითოეულ ესპანელს, მყისიერი რეაგირება იყოს შესაძლებელი. ეს ორმხრივი პერმანენტული კონტაქტი მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოებისათვისაც.

ამ ოფიციალური ვებ-გვერდის მთავარი ნიშანია მისაწვდომობა და ინტერაქტიულობა, ხოლო მისი შინაარსი და მიმართულებები განსაზღვრულია თავად მომხმარებლების მოთხოვნილებების მიხედვით. ეს არის ვირტუალური ფანჯარა, რომელსაც აქვს რეალური ფუნქციები მათთვის, ვინც სამშობლოდან შორს ცხოვრობს, თუმცა ახალი ტექნოლოგიების წყალობით, ძალზე ახლოს არის ესპანეთის ადმინისტრაციიის ნებისმიერ ორგანოსთან. ამასთან, ეს არის თანამემამულეთა ურთიერთობის და შეხვედრების კიდევ ერთი საშუალება, რომელიც პერიოდულად ახლდება, იცვლება და ივსება.

ხელმისაწვდომია სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების შესრულების შესახებ, კერძოდ:

– უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საარჩევნო სია

– უცხოეთში გასული ესპანელების რეგისტრაციის მონაცემთა ბაზა

– სამშობლოში დაბრუნებულ ესპანელთა მონაცემების რეესტრი

– რეემიგრანტთა ეკონომიური დახმარების პროგრამების მონაცემები

– უცხოეთში მცხოვრებ ესპანელთა დახმარების ფონდები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ესპანეთის სამეფოს თითქმის ყველა ავტონომიურ მხარეს აქვს დიასპორასთან ურთიერთობის საკუთარი სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

წყაროები:

1. http://www.ciudadaniaexterior.empleo.gob.es/es/index.htm
2. http://www.sepe.es
3. http://www.ine.es
4. www.euskadi.net
5. www.inst-europ.org
6. http://www.elmundo.es/espana/2014/03/20/532ac41d22601d15088b456c.html
7. http://213.192.236.136/s/ramon-rubial/quienes-somos
8. http://es.wikipedia.org/wiki/Inmigración/ española

თურქეთის რესპუბლიკა
Türkiye Cumhuriyeti

ზოგადი ინფორმაცია

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1923 წელს შეიქმნა თურქეთის რესპუბლიკა, რომელსაც საფუძველი გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მუსტაფა ქემალ ათათურქმა ჩაუყარა.

თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენს 783 562 კვადრატულ კილომეტრს, რომელიც 81 გუბერნიად და 923 რაიონად არის დაყოფილი. თურქეთის სახელმწიფოს ფულის ერთეულია თურქული ლირა.

სახელმწიფო უწყების შექმნა

თურქეთის რესპუბლიკას მრავალრიცხოვანი დიასპორა ჰყავს. საზღვარგარეთ მცხოვრები თურქეთის ყოფილი მოქალაქეების რიცხვი 6 მილიონს აღემატება. არსებობს თურქულენოვანი ქვეყნებიც, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 220 მილიონს შეადგენს. აღნიშნულ ქვეყნებთან თურქეთის სახელმწიფოს ინტენსიური კუტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები აქვს.

საზღვარგარეთ მცხოვრებ თურქებთან ურთიერთობას კურირებს საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ერების დეპარტამენტი. აღნიშნული უწყება თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს ექვემდებარება. საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ერების დეპარტამენტი შეიქმნა 2010 წლის 24 მარტს. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი. მას ექვემდებარება შემდეგი სამმართველოები:

- უცხოელი მოქალაქეების საქმეთა სამმართველო
- კულტურულ და სოციალურ ურთიერთობათა სამმართველო
- ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
- საზღვარგარეთ სტუდენტებთან ურთიერთობის სამმართველო
- სტრატეგიული განვითარების სამმართველო
- იურიდიული დახმარების სამმართველო
- ადამიანისეული რესურსებისა და განათლების სამმართველო

- დახმარების სამმართველო
- ანალიტიკის სამმართველო

უცხოელი მოქალაქეების საქმეთა სამმართველო აქტიურად მუშაობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების საკითხებზე და, აგრეთვე, ქვეყნის შიგნით მცხოვრები უცხოელების საკითხებზე; ახორციელებს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას, რაც ხელს უწყობს მათი ურთიერთობის გაღრმავებას თურქეთის რესპუბლიკასთან. ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა ,,ახალგაზრდა ლიდერთა პროგრამა", რომლის ფარგლებში, ძირითადად, ევროპაში მცხოვრები გამორჩეული ახალგაზრდები მონაწილეობენ. მათ იწვევენ თურქეთის რესპუბლიკაში და უტარებენ სემინარებს თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის, კულტურის, ეკონომიკისა და დიასპორის საკითხებზე. ამ ახალგაზრდებს, ძირითადად, ასაქმებენ სახელმწიფო უწყებებში.

კულტურული და სოციალური ურთიერთობის სამმართველო კოორდინაციას უწევს ბალკანეთში, კავკასიაში, შუა და აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრებ თანამემამულეებთან ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას.

ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: აქტიურ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ურთიერთობა, პროექტების მართვის კოორდინაცია, კონტაქტების დამყარების კოორდინაცია.

საერთაშორისო სტუდენტთა სამმართველო მუშაობს უცხოეთიდან თურქეთის რესპუბლიკაში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსული სტუდენტების საკითხებზე. ამ ეტაპზე, თურქეთის რესპუბლიკაში სპეციალური სტიპენდიით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 13 ათასი სტუდენტი სწავლობს. სამმართველო კურირებს მათთვის სტიპენდიის გაცემასა და სხვა ყოფითი პრობლემების მოგვარებას; აგრეთვე, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ამ პირებთან ურთიერთობის გაგრძელებას.

სტრატეგიული განვითარების სამმართველო მუშაობს დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებზე 4 მიმართულებით: სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი პროგრამის ფარგლებში დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის განსაზღვრა; სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა; უწყების საქმიანობის ანგარიშების მომზადება; უწყების ბიუჯეტის დაგეგმვა და მისი შესრულების მონიტორინგი; საშინაო და საგარეო ფინანსების კონტროლი; მიზნებისა და შედეგების ანალიზი; ბუღალტერიის წარმოება.

იურიდიული დახმარების სამმართველო ემსახურება საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს. იცავს მათ უფლებებს საზღვარგარეთ და ეხმარება ადგილობრივი კანონმდებლობის გაცნობის საკითხში.

ადამიანისეული რესურსებისა და განათლების სამმართველო კურირებს საკადრო საკითხებს, სასწავლო მასალების მომზადებას. სამმართველოში მუშაობენ წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში განათლებამიღებული პირები, რომლებიც არიან კონ-

კრეტული ქვეყნების სპეციალისტები. სამმართველოში 22 ენაზე ლაპარაკობენ.

დახმარების სამმართველო კოორდინაციას უწევს უწყების საქმიანობას, ჩართულობას, თავისუფალ კონკურენციას, უსაფრთხოებას, ანონიმურობას, ხარისხს, ანგარიშების ჩაბარებას, სტანდარტიზაციასა და წყაროების ეფექტიან გამოყენებას.

ანალიტიკის სამმართველო პასუხისმგებელია მიღებული ინფორმაციის დროულად გაანალიზებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. სამმართველო თავის საქმიანობაში აქტიურად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.

საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ერების დეპარტამენთან არსებობს მრჩეველთა სამი საბჭო: უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკითხთა საბჭო, კულტურულ და სოციალურ საკითხთა შეფასების საბჭო, უცხოელი სტუდენტების შეფასების საბჭო. მრჩეველთა საბჭოები დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც რეკომენდაციებს აძლევენ საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ერების დეპარტამენტს.

მიმდინარე და განხორციელებული პროგრამები

პროგრამა „თურქეთის სტიპენდიები“

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში სპეციალური სტიპენდიით სწავლობს მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსული 13 000 სტუდენტი. სტუდენტებს უტარდებათ ლექციები და სემინარები თურქეთის ისტორიაში, კულტურასა და თურქულ ენაში. თურქეთში სწავლის დასრულების შემდეგ კი კურდამთავრებულებთან კავშირს ინარჩუნებენ და აღრმავებენ საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ერების დეპარტამენტის თანამშრომლები.

სტუდენტთა საერთაშორისო ბანაკი

პროექტის ფარგლებში 400 უცხოელი სტუდენტი ერთი კვირის განმავლობაში ისვენებს ბანაკში, სადაც მათ აცნობენ თურქეთის ისტორიასა და კულტურას. პროექტი ხორციელდება 8 ნაკადად და თითოეულ ნაკადში მონაწილეობას იღებს 50 სტუდენტი.

ახალგაზრდა ლიდერთა პროგრამა

აღნიშნულ პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 2013 წელს და წელიწადში რამდენჯერმე ხორციელდება. პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქვეყნიდან იწვევენ, დაახლოებით, 40-50 წარმატებულ ახალგაზრდას, რომლებსაც ერთი კვირის განმავლობაში სემინარები უტარდება თურქულ ენაში, კულტურასა და ისტორიაში. მათ აცნობენ თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ასევე, ათვალიერებინებენ თურქეთის ისტორიულ ძეგლებს.

ახალგაზრდული ხიდების პროგრამა

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთიდან იწვევენ 16-იდან 25 წლამდე, მაქსიმუმ, 45 ახალგაზრდას, რომლებსაც ორი კვირის განმავლობაში უტარდებათ სემინარები თურქულ ენაში, ისტორია-

ში, კულტურასა და ლიტერატურაში. პროგრამის მონაწილეები ათვალიერებენ თურქეთის ისტორიულ ძეგლებს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 3 მილიონ თურქულ ლირას.

თანამემამულე პედაგოგების დახმარება მატერიალურ და საგანმანათლებლო საკითხებში

პროექტის ფარგლებში ბალკანეთის 3 ქვეყანაში მომუშავე თურქული ენის 75 პედაგოგს ჩაუტარდა თურქული ენის გაკვეთილები. პროექტის მიზანი იყო მონაწილეებისათვის თურქული კულტურისა და ისტორიის გაცნობა.

ოსმალური კულტურისა და ისტორიის შემსწავლელი საზაფხულო სკოლა

პროექტის ფარგლებში თურქეთში იწვევენ ოსმალეთის კულტურისა და ისტორიის საკითხებზე მომუშავე სტუდენტებს, რომლებსაც 25 დღის განმავლობაში უტარდებათ სემინარები და ათვალიერებენ ისტორიულ ძეგლებს. პროექტის მიზანია ოსმალური კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაცია და კვლევის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის დიასპორის საკითხებზე, თურქული ენისა და კულტურის პოპულარიზაციისა და გავრცელების არეალის გაფართოებაზე აქტიურად მუშაობს თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (TIKA), იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრები, რელიგიის საქმეთა დეპარტამენტი და სხვა, რომლებიც ფინანსდება როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ისე ცალკეული ბიზნესმენების მიერ.

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო დაარსდა 1992 წლის 24 იანვარს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მისი მიზანი იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხში. დაარსებიდან 1999 წლამდე აღნიშნული უწყება საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა, 1999 წლიდან კი პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი მოადგილეს ექვემდებარება. თურქეთს მსოფლიოს 38 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში ჰყავს თავისი წარმომადგენლობა. 2011 წლის მონაცემებით, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს სხვადასხვა პროექტებზე დახარჯული აქვს 1 მილიარდ 273 მილიონი დოლარი.

იუნუს ემრეს ინსტიტუტი და იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრები

იუნუს ემრეს ინსტიტუტი დაარდა 2009 წელს, რომლის მიერ შედარებით მოკლე დროში მსოფლიოს 31 ქვეყანაში დაარსდა იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის 36 ცენტრი. აღნიშნული კულტურის ცენტრების ძირითადი მიზანია თურქული ენის, ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაცია. მათი დაფინანსებითა და ორგანიზებით ხშირად იმართება კონფერენციები, გამოფენები, შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ იუნუს ემრეს ინსტიტუტი მსოფლიოს 37 ქვეყნის 58 უნივერსიტეტთან თანამშრომლობს თურქოლოგიის განვითარების საკითხში, რაც გულისხმობს ამ უნივერსიტეტებში თურქული ენის კათედრების გახსნა-

სა და მათ მუშაობას. ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს ოთხ უნივერსიტეტთან, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. იუნუს ემრეს უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზღვარგარეთ თურქულენოვანი ბიბლიოთეკების შექმნის საკითხს. ყოველ წელს ეწყობა თურქული ენის საზაფხულო სკოლა. 2013 წელს ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო 57 ქვეყნიდან 268 წარმომადგენელმა.

თბილისის იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი დაარსდა 2012 წლის 31 მაისს, რომელიც გახსნა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბულენთ არინჩმა. ცენტრის დაფინანსებით ხშირად ხორციელდება კულტურული ღონისძიებები; ასე მაგალითად, 2014 წელს თავისუფალი თეატრის სცენაზე დაიდგა თურქი დრამატურგის კადრი ოზჯანის სპექტაკლი ,,მამა", ჩატარდა თურქული ნაციონალური სამოსის გამოფენა და სხვა.

თურქეთის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტის საქმიანობა

თურქული დიასპორისა და თურქული გავლენის გაძლიერების საკითხებზე აქტიურად მუშაობს თურქეთის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც როგორც ფინანსურად, ისე, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფო ორგანიზაციას წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ უწყებაში 2013 წლის მონაცემებით მუშაობს 121 845 ადამიანი, ხოლო უწყების ბიუჯეტი შეადგენს 4 მილიარდ 604 მილიონ თურქულ ლირას. თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტს მსოფლიოს 21 ქვეყანაში, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოებში ჰყავს მრჩეველი რელიგიის საკითხებში, ასევე, 24 ქალაქში ჰყავთ ატაშე რელიგიის საკითხებში. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც თურქული წარმოშობის, ისე არათურქული წარმოშობის მუსლიმებთან. თურქეთის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენლები საზღვარგარეთ უწევენ რა სულიერ დახმარებას მუსლიმებს, აქტიურად არიან ჩაბმული დიასპორულ საქმიანობაში, ხშირად აფინანსებენ სხვადასხვა რელიგიურ ღონისძიებას, იფთარს (სამარხვო ვახშამს), კოორდინაციას უწევენ ადგილსამყოფელ ქვეყნებში მუსლიმი სასულიერო პირების მისიონერულ საქმიანობას და სხვა.

ამრიგად, თურქეთის სახელმწიფო აქტიურად ზრუნავს როგორც საზღვარგარეთ მცხოვრებ თურქეთის ყოფილ და ამჟამინდელ მოქალაქეებსა და თურქული წარმოშობის პირებზე, ისე მონათესავე თურქულენოვან ერებთან ურთიერთობასა და მეზობელ ქვეყნებში თურქული გავლენის გაძლიერებაზე. თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები კარგად არის ასახული თურქეთის რესპუბლიკის საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ერების საქმეთა დეპარტამენტის, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს, იუნუს ემრეს ინსტიტუტისა და თურქეთის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ პროექტებსა და საქმიანობაში.

წყაროები:

1. http://ytb.gov.tr/
2. http://www.tika.gov.tr/en
3. http://www.yee.org.tr/turkiye/tr/anasayfa

ინდოეთის რესპუბლიკა
भारत गणराज्य

შესავალი

ინდოეთი მოსახლეობის რიცხოვნობით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში. ორ საუკუნეზე მეტი ინდოეთი ბრიტანეთის კოლონია იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანამ გადალახა ეკონომიკური იზოლაცია, ჩამორჩენილობა და ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ იქცა.

ინდოეთი სამხრეთ აზიაში მდებარეობს, ინდოსტანის სუბკონტინენტზე. ფართობი: 3 287 263 კმ^2. საზღვრები: საზღვაო – 5 686 კმ; სახმელეთო – 15 168 კმ.

- სახელმწიფო სისტემა: ფედერაციული რესპუბლიკა.
- სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი
- მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი
- საკანონმდებლო ორგანო: ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგება შტატების საბჭოსაგან (რაჯია საბჰა, 250 ადგილი) და სახალხო პალატისაგან (ლოკ საბჰა, 545 ადგილი).
- პარტიები: ინდოეთის ეროვნული კონგრესი (დაარსებულია 1885 წელს) და ინდოელი ხალხის პარტია – ბჰარატია ჯანატა პარტი (დაარსებულია 1980 წელს).

ინდოეთს დიასპორის სიდიდით მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. დაახლოებით, 25 მილიონი ინდოელი გასულია სამშობლოდან და მიმოფანტულია მსოფლიოს ყველა კუთხეში. საზღვარგარეთ მცხოვრები ინდური დიასპორა საუკუნეების განმავლობაში მიგრაციის სხვადასხვა ტალღის შედეგია. მიგრაციას სხვადასხვა მიზეზი იწვევდა: სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, კოლონიალიზმი და გლობალიზაცია. მე-20 საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე მიგრაციის ხასიათი შეიცვალა. გაჩნდა „ახალი დიასპორა“, რომლის უმრავლესობა შეადგენს დასავლეთის ქვეყნებში წასულ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებსა და ნახევრადკვალიფიციურ, კონტრაქტით მომუშავეებს სპარსეთის ყურის, დასავლეთი თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში.

საზღვარგარეთ მცხოვრები ინდური დიასპორა წარმოადგენს მრავალფეროვან, ჰეტეროგენულსა და ეკლექტიკურ გლობალურ საზოგადოებას, რომელიც ასახავს სხვადასხვა რეგიონს, ენას, კულტურასა და აღმსარებ-

ლობას. საერთო ჯაჭვი, რომელიც მათ აერთიანებს, ეს არის ინდოეთი. საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელები – ინდური წარმოშობის პირები და არარეზიდენტი ინდოელები მსოფლიოში საუკეთესო განათლების მქონე და წარმატებულ თემებად ითვლება.

განმარტება: არარეზიდენტი ინდოელი არის ინდოეთის მოქალაქე პირი, რომელიც ფლობს ინდოეთის პასპორტს და სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, საცხოვრებლად, სასწავლებლად ან სხვა მიზნით დროებით იმყოფება ემიგრაციაში ექვსი ან მეტი თვის განმავლობაში.

ინდური წარმოშობის პირი არის პირი, რომელსაც აქვს ინდური წარმოშობა, ან ჰყავს ინდური წარმოშობის წინაპრები.

ინდოეთის ხელისუფლება ინდური წარმოშობის პირად მიიჩნევს ნებისმიერ ადამიანს, რომლის წინაპრებსაც ჰქონდათ ინდური წარმოშობა ოთხ თაობამდე, გარდა იმ ადამიანებისა, ვინც ოდესმე იყვნენ ავღანეთის, ბანგლადეშის, ბუტანის, ნეპალის, პაკისტანის ან შრი ლანკას მოქალაქეები. აკრძალული სია პერიოდულად მოიცავს ირანსაც. მთავრობა PIO ბარათს გასცემს ინდური წარმოშობის პირზე, მისი ან წინაპრების წარმოშობის შემოწმების შემდეგ. ეს ბარათი პირს აძლევს ინდოეთის ტერიტორიაზე ვიზის გარეშე შესვლის უფლებას. PIO ბარათი შეიძლება გაიცეს ინდური წარმოშობის მქონე პირის მეუღლეზეც, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე შეიძლება არც იყოს ინდური წარმოშობის პირი. ეს უკანასკნელი კატეგორია მოიცავს ინდოეთის მოქალაქეების უცხოელ მეუღლეებს, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ არიან დაბადებულნი აკრძალულ ქვეყნებში. PIO ბარათები გარკვეულ შეღავათებს უწესებს მფლობელებს და ათავისუფლებს მათ მრავალი შეზღუდვისგან (მაგალითად, სავიზო რეჟიმის და მუშაობის ნებართვის მოთხოვნისგან ზოგ სხვა ეკონომიკურ შეზღუდვასთან ერთად).

მსოფლიოს ყველა კუთხეში ინდურ საზოგადოებას აღიარებენ და პატივს სცემენ ბეჯითი მუშაობის, დისციპლინის, ჩაურევლობის და ადგილობრივ საზოგადოებასთან წარმატებული ინტეგრირების გამო. საზღვარგარეთ მცხოვრებმა ინდოელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმ ქვეყნების ეკონომიკაში, სადაც ცხოვრობენ, მათ მრავალი ინოვაცია და ცოდნა შესძინეს ამ ქვეყნებს. ისინი ძლიერ კავშირებს ინარჩუნებენ წარმომშობ ქვეყანასთან, რაც, ხშირად, მრავალი საუკუნის განმავლობაშიც კი, აისახება მათ ენაში, კულტურასა და ტრადიციებში. კავშირები ინდოეთსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებს შორის სულ უფრო იზრდება, ვითარდება ახალი პარტნიორული ურთიერთობები. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში დიასპორასთან მდგრადი და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარება ინდოეთის რესპუბლიკის პოლიტიკის ერთ–ერთი უმთავრესი მიმართულებაა, რისთვისაც შეიქმნა საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო

საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო არის დინამიკური, ინტე-

რაქტიული სამინისტრო, რომელიც მუშაობს საზღვარგარეთ დასახლებული უამრავი ინდური წარმოშობის თანამემამულეთა საკითხებზე. სამინისტრო 2004 წელს დაფუძნდა როგორც არარეზიდენტ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო. 2004 წლის სექტემბერში მას სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო. სამინისტრო ცდილობს დააკავშიროს ინდური დიასპორული თემები სამშობლოსთან. იგი ინდურ დიასპორას უზრუნველყოფს ინფორმაციით, პარტნიორობით და თანამონაწილეობით ყველა საკითხში, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებს ეხება (ინდური წარმოშობის პირებს და არარეზიდენტ ინდოელებს). ეს არის თანამედროვე, კომპაქტური და ეფექტური სამინისტრო, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავრობის კაბინეტის წევრი მინისტრი. სამინისტროს ოთხი ფუნქციური სამსახურის დანაყოფი აქვს:

- დიასპორის სამსახური
- ფინანსური სამსახური
- ემიგრაციის სამსახური
- მენეჯმენტის სამსახური

სამინისტროს მოვალეობები

საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო თავისი არსით არის ერთი ფანჯრის პრინციპის სახალხო ორგანო, რომელიც ემსახურება საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებს.

იგი კოორდინაციას უწევს ინფორმაციის გაცვლასა და პარტნიორობას; ერთმანეთთან აკავშირებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებს, დიასპორულ ასოციაციებს, სავაჭრო და სამრეწველო სფეროს წარმომადგენლებს, კანონმდებლებს, სამეცნიერო წრეებს, საზოგადოებისა და მმართველობის მთავარ მონაწილეებს და მთავრობებს. სამინისტროს მისია მარტივია – მართოს დიასპორასთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკა და დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა დიასპორასთან. სამინისტროს საქმიანობა საუკეთესოდ არის შეჯამებული იმ დღის წესრიგში, რომელსაც მისდევს სამინისტრო:

- დიასპორისათვის ინკლუზიური დღის წესრიგის შემუშავება ინდოეთის განვითარებაში მონაწილეობის მისაღებად
- ინდური დიასპორის ქსელის შექმნა და გზამკვლევის შედგენა
- სამშობლოსა და დიასპორული ინსტიტუციების აქტიურ მონაწილე პარტნიორებად გარდაქმნა
- ინდივიდუალური ინიციატივებისა და გაერთიანებათა აქტივობებისთვის მოდელების შემუშავება, დიასპორის ცოდნისა და სხვა რესურსების გამოყენება
- განვითარების გეგმის შემუშავება სამინისტროს აქტივობაში დიასპორის აქტიური ჩართულობისათვის
- მოდელების შემუშავება ინდოეთსა და დიასპორას შორის მიმდინარე დიალოგზე სახელმწიფოებრივ დონეზე
- დიასპორასთან პარტნიორობა ეკონომიკის, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ახალი ინიციატივების ასათვისებლად
- ქმედითუნარიანობის გაუმჯობესების პროგრამების შემუშავება დიასპორისა და პოტენციურ ემიგრანტთა საჭიროებებზე უკეთ რეაგირებისათვის

ამ დღის წესრიგის განხორციელებისას სამინისტრო ხელმძღვანელობს ოთხი ძირითადი პრინციპით:

- შესთავაზოს მოთხოვნებზე გათვლილი გადაწყვეტილებები საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებს, მათი მრავალმხრივი მოლოდინების შესატყვისად;
- მისცეს სტრატეგიული მიმართულებები ინდოეთის საქმიანობას დიასპორასთან;
- მოახდინოს ინვესტირების უნარის მქონე დიასპორული საზოგადოების ცოდნისა და რესურსების მობილიზება;
- თავი მოუყაროს ყველა დიასპორულ ინიციატივას.

ურთიერთობის გაფართოების და წვდომის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სამინისტრო ფოკუსირებულია საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებზე და იმ ქსელის განვითარებაზე, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს. სამინისტრო მიიჩნევს, რომ მდგრადი განვითარების ეფექტური მომსახურების მიწოდება განისაზღვრება ინსტიტუციებით და პარტნიორობით. ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც მართავს სამინისტროს მანდატს, მოიცავს:

- საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა დახმარების ცენტრს – საინვესტიციო და ბიზნეს-საკითხებისთვის
- საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა დასაქმების ხელშემწყობ საბჭოს – საერთაშორისო მიგრაციისთვის
- საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა ცენტრებს, რომლებიც ორიენტირებული არიან კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე
- სხვადასხვა საჯარო და კერძო პარტნიორობას.

გარდა ყველა იმ საკითხისა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებს, მათ შორის, ინდური წარმოშობის პირებს და არარეზიდენტ ინდოელებს, სამინისტრო საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებთან ჩართულია სხვადასხვა ინიციატივაში; ეს ინიციატივები მოიცავს ვაჭრობასა და ინვესტიციებს, ემიგრაციის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებს. სამინისტროს შემუშავებული აქვს მეთოდები, პროგრამები და სქემები, რომელთა მეშვეობით ცდილობს დააკმაყოფილოს ის მოლოდინები და საჭიროებები, რომლებიც აქვთ საზღვარგარეთ მცხოვრებ მრავალფეროვან ინდოელთა საზოგადოებებს.

სამსახურების სფეროები

სამინისტროს დიასპორის სამსახურის დეპარტამენტს ეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, ინდური წარმოშობის პირთა (People of Indian Origin/PIOs), უცხოური მოქალაქეობის მქონე ინდოელთა (Overseas Citizens of India/OCI), არარეზიდენტ ინდოელთა (Nonresident Indians/NRIs) საკითხები.

საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვანი ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამის გათვალისწინებით, 2006 წლის მარტს სამინისტროში დაარსდა საემიგრაციო პოლიტიკის დეპარტამენტი, რომლის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ემიგრანტებს და გაზარდოს მათი შესაძლებლობები. აღნიშნულ დეპარტამენტს ეხება ყველა ის საკითხი, რომლე-

ბიც უკავშირდება ინდოეთიდან ემიგრირებულ საზღვარგარეთ მომუშავე პირებს. ამ დეპარტამენტის ძირითადი მოვალეობებია:

- ემიგრაციის საკითხების მართვის გასაუმჯობესებლად პოლიტიკის ფორმულირება
- საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და შეთავაზება
- ემიგრაციული რეფორმების განხორციელება (ინსტიტუციური ცვლილებების და ელექტრონული მმართველობის ჩათვლით)
- ემიგრანტთათვის სოციალური დაცვის სქემების ფორმულირება
- საერთაშორისო მიგრაციაში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა

ინდოელი ემიგრანტი (გარდა გონებრივი სამუშაოს მქონე პირებისა) საკმაოდ დაუცველია ექსპლუატაციისაგან; ის არ იცნობს შესაბამის კანონებსა და პროცედურებს. მიგრაციული პროცესები, მათ შორის, მასპინძელი ქვეყნების მიერ ადგილმდებარეობის განსაზღვრის პოლიტიკა კიდევ უფრო ამცირებს მომუშავისათვის ემიგრაციულ სარგებელს. ამიტომ, სამინისტრო ახორციელებს პროაქტიურ პოლიტიკას ემიგრაციის სისტემის გარდასაქმნელად და ემიგრანტებს აღჭურვავს სისტემური ოპერატიული საშუალებებით.

ემიგრაციის სისტემის გარდასაქმნელად და ემიგრანტებისთვის შესაძლებლობების შესათავაზებლად სამინისტრო დგამს შემდეგ ნაბიჯებს:

- ემიგრაციის ახალი კანონმდებლობის შემუშავება მიგრაციის შესახებ 1983 წლის კანონის შესაცვლელად
- სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის შეთავაზება
- უნარების გასავითარებლად და პოტენციური ემიგრანტების საორიენტაციოდ სქემების შემუშავება
- ადგილზე კეთილდღეობის ზომების გასატარებლად ღონისძიებების შემუშავება
- საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა ცენტრების დაარსება ადგილზე მათი კეთილდღეობის კოორდინირებისათვის
- ემიგრანტთა კეთილდღეობის სფეროში სხვა ქვეყნების (როგორიცაა ფილიპინები) საუკეთესო პრაქტიკის გადმოტანა
- კადრების შერჩევა მეტი პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობაზე ორიენტირებულობის მიზნით
- საზღვარგარეთ მცხოვრებთა დასაქმების საბჭოს დაარსება

ფინანსური სამსახური

საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელები განიხილებიან პოტენციური ინვესტორების, მეწარმეებისა და კორპორატიული ლიდერების წყაროდ, რომელთა საქმიანობაც შეიძლება გადმოტანილ იქნეს ინდოეთში. მათ აქვთ ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევები სხვადასხვა სექტორში, რაც შესაძლოა დაეხმაროს ქვეყანას სწრაფ ეკონომიკურ ზრდაში. მათ ამჟამად შეუძლიათ ინდოეთს მნიშვნელოვანი საინვესტიციო შესაძლებლობები შესთავაზონ. აღნიშნული წყარო პრიორიტეტულ საინვესტიციო მიმართულებას წარმოადგენს. სამინისტროს ფინანსური დეპარტამენტის ამოცანაა, საზღვარგარეთ მცხოვრები ინ-

დოელები აქტიურად ჩართოს ინდოეთის განვითარებაში.

ფინანსური დეპარტამენტი თავის საქმიანობაში მთავარ აქცენტს აკეთებს შემდეგზე:

- ინდოეთში ბიზნესის კეთების გამარტივება (საოპერაციო ხარჯების გარეშე)
- დიასპორული ინვესტორებისთვის საშუალების მიცემა, ისარგებლონ საკონსულტაციო და ხელშემწყობი მომსახურების გამარტივებით ბაზარზე ორიენტირებული ცოდნის მქონე პარტნიორის მეშვეობით
- ინდურ და საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა ბიზნესს შორის მდგრადი პარტნიორობის ხელშეწყობა
- საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საინვესტიციო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენტურობისათვის ღირებულების მინიჭება

დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი ფინანსური სამსახური შეიცავს:

- საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელების მიერ ინდოეთში ინვესტირების ხელშეწყობას, მათ შორის, ინოვაციური ინვესტიციების და ამ მიმართულებით პოლიტიკის გატარების ინიციატივების წახალისებას
- ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო პროცესს.

ინდოეთში ინდური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, დაფუძნდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა დახმარების ცენტრი (Overseas Indian Facilitation Center/OIFC), რომელიც შეიქმნა ინდური ინდუსტრიის კონფედერაციასთან (Confederation of Indian Industry/CII) პარტნიორობით. საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა დახმარების ცენტრი უზრუნველყოფს საინვესტიციო პროცესის გამარტივებას და ცოდნის გაცვლის ქსელს. ცენტრის დახმარებით დეპარტამენტი დიასპორას სთავაზობს ინფორმაციას და აკვალიანებს საინვესტიციო პოლიტიკაში, ასევე, ეწევა სხვადასხვა სახის ფინანსურ მომსახურებას. გარდა ამისა, ფინანსური დეპარტამენტი ფინანსურ მრჩეველთან და სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტთან კონსულტაციით ამზადებს სამინისტროს ბიუჯეტსაც.

მენეჯმენტის დეპარტამენტი

სამინისტროს მენეჯმენტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია სამინისტროს თანამშრომელთა და მოხელეთა საქმიანობის ხელმძღვანელობაზე, სამინისტროს პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებზე:

- იგი მართავს ყველა იმ საკითხს, რომლებიც ეხება თანამშრომლეთა ხელფასებს, შვებულებებს, დაწინაურებას, დანიშვნას, გადაადგილებებს და ა.შ.
- იგი პასუხისმგებელია ოფიციალური ენის გამოყენების დანერგვაზე, საპარლამენტო საკითხებზე და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფს შორის კოორდინირებაზე, ასევე, სხვა სამინისტროებთან კოორდინირებაზე;
- იგი პასუხისმგებელია სამინისტროში მომუშავე ოფიციალურ პირთა აქტივობების საკითხებზე;
- იგი ხელს უწყობს თანამშრომლებისთვის შესაფერისი ატმოსფეროს შექმნას, საჭირო ინვენტარით მათ უზრუნველყოფას.

საკითხები, რომლებიც ეხება სამინისტროს:

სამინისტროს ეხება ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებთან, მათ შორის, ინდური წარმოშობის პირებთან (People of Indian Origin) (PIO) და არარეზიდენტ ინდოელებთან (Nonresident Indians/NRIs) ეს საკითხებია:

- საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელების მიერ ინდოეთში ინვესტიციების განხორციელება, მათ შორის, იმ ინოვაციური ინვესტიციების და პოლიტიკური ინიციატივებისა, რომლებიც შეესაბამება მთავრობის საერთო პოლიტიკას, განსაკუთრებით, ისეთ სფეროში, როგორიცაა საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელებისთვის არსებული ექსკლუზიური სპეციალური ეკონომიკური ზონები (Special Economic Zones/SEZs);
- წარმომადგენლობა უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობ საბჭოში და საზღვარგარეთული ინვესტიციების განხორციელების საბჭოში;
- საინვესტიციო კომისიასთან ურთიერთქმედება და ამ კომისიისგან კონსულტაციების მიღება, ინფორმირებულობა ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელების მიერ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI);
- საკითხები, რომლებიც ეხება ინდოეთიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში ემიგრირებულ ყველა ემიგრაციას, რომელიც იგულისხმება ემიგრაციის შესახებ 1983 წელს მიღებული ემიგრაციის აქტით და ემიგრანტთა დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები;
- საკითხები, რომლებიც უკავშირდება ინდოეთში არსებულ პროგრამებს საზღვარგარეთ მცხოვრები მოხალისე ინდოელებისთვის;
- საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინირებით, საზღვარგარეთ მცხოვრები ინდოელებისთვის ცენტრების შექმნა და მათი ადმინისტრირება იმ ქვეყნებში, სადაც არის კონცენტრირებული ინდური დიასპორა;
- დასაქმებაში დახმარების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებისა;
- შეგროვება და გავრცელება ინფორმაციისა, რომელიც ეხება არარეზიდენტი ინდოელების და ინდური წარმოშობის პირის სტატუსის მქონე სტუდენტების დაშვებას ინდოეთში სხვადასხვა საგანმანათლებლო, ტექნიკურ და კულტურულ დაწესებულებაში, სადაც არსებობს დისკრეციული კვოტა აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისთვის, ადამიანური რესურსების განვითარების სამინისტროსთან და კულტურის სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე;
- სტიპენდიები არარეზიდენტი ინდოელების და ინდური წარმოშობის პირის სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის ინდოეთში სასწავლებლად, საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტაციების გათვალისწინებით;
- მარკეტინგული და საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავება ინდოეთთან საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა ძლიერი კავშირების უზრუნველსაყოფად;
- საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებთან დაკავშირებული საკითხების ხელ-

მძღვანელობა და თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათთან კოორდინაციის გზით საკითხების გადაწყვეტა;

- დაწესებულებების დაფუძნება პოტენციურ ემიგრანტთა პროფესიული და საზღვარგარეთ საჭირო უნარ-ჩვევებით უზრუნველსაყოფად;
- საჯაროობა საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელებთან დაკავშირებულ საკითხებზე, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციით და საგარეო პოლიტიკასთან თანხვედრით;
- ინდოეთთან საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა ურთიერთობის გასააქტიურებლად ახალი ინიციატივების დანერგვა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ვაჭრობა, კულტურა, ტურიზმი, მედია, ახალგაზრდული საქმეები, ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება და ტექნოლოგიები, ამ სფეროებში მომუშავე სამინისტროებთან კონსულტაციით;
- სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია იმ შეთანხმებების თავმოყრასთან, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა დაცვას და კეთილდღეობას, აგრეთვე, მათი გადასახადებისგან გათავისუფლების საკითხებს.

გამოყენებული ელექტრონული რესურსი: ინდოეთის რესპუბლიკის საზღვარგარეთ მცხოვრებ ინდოელთა საქმეთა სამინისტრო.

წყაროები:

1. www.moia.gov.in

ისრაელის სახელმწიფო
מדנת ישראל

ზოგადი ინფორმაცია

ისრაელის სახელმწიფოს შექმნა

გაეროს 1947 წლის რეზოლუციის გათვალისწინებით, 1948 წლის 14 მაისს ბრიტანეთის პალესტინის მანდატის ტერიტორიაზე გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფოს (ებრ. მედინეთ ისრაელ) შექმნა.

დიასპორაზე ზრუნვის პირველი ეტაპი

თავდაპირველად მსოფლიოს ებრაულ დიასპორაზე ზრუნვა ხელში აიღო „ებრაულმა სააგენტომ ისრაელისათვის“ (ებრ. ჰა-სოხნუთ ჰა-იეჰუდით ლერეც ისრაელ). იგი 1929 წელს დაარსდა პალესტინის ებრაული ოფისის[1] ბაზაზე, რომელიც ცნობილია „სოხნუთის“ სახელწოდებით. „სოხნუთის“ მიზანი იყო ებრაელთათვის აღთქმულ მიწაზე დაბრუნების ხელშეწყობა, საამისოდ სათანადო პირობების შექმნა და დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზე მიწების შეძენა.

დიასპორის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყების შექმნა

ისრაელის სახელმწიფოს შექმნისთანავე ჩამოყალიბდა ისრაელის აბსორბციის და ალიის სამინისტრო, რომელმაც მიმართა მთელ მსოფლიოში გაბნეულ ებრაულ დიასპორას, რომ სამშობლოში ჩამოსულიყვნენ. აბსორბციის სამინისტრომ ერთგვარად გადაიბარა ის ფუნქციები, რასაც იქამდე სოხნუთი ასრულებდა.

მთავრობისა და „სოხნუთის“ საქმიანობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია

1952 წელს ისრაელის სახელმწიფოს პარლამენტი (ებრ. „ქნესეთ“) იღებს 5713 კანონს „მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის – ებრაული სააგენტოს სტატუსის შესახებ“. კანონის თანახმად, მთავრობისა და სოხნუთის უფლებამოსილებანი იმიჯნება ებრაული დიასპორის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით. გამიჯვნის პროცესი დასრულდა 1968 წელს.

---

[1] 1908 წელს დაარსდა

იმის გამო, რომ პირველ ეტაპზე ისრაელის სახელმწიფოს ამოცანა არ ყოფილა ებრაული თვითშეგნების და ტრადიციების შენარჩუნების ხელშეწყობა, არამედ – ისრაელში „ასვლაში“ დახმარება, ცალკე მოქმედი დიასპორის სამინისტრო 1999 წლამდე ისრაელს არ ჰქონია.

1967-1969 და 1974-1975 წლებში არსებობდა ინფორმაციის სამინისტრო, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად ევალებოდა, ანტისემიტური გამოვლინებები შეესწავლა.

დიასპორის სამინისტროს შექმნა

1999 წელს შეიქმნა საზოგადოების და დიასპორასთან კავშირის სამინისტრო და პირველ მინისტრად დაინიშნა (2001 წლამდე) მიხაილ მელხიორი. სამინისტროს 2003-2005 წლებში ეწოდებოდა იერუსალიმის, საზოგადოებრივ და დიასპორის საქმეთა სამინისტრო. 2007-2009 წლებში მოიხსენიებოდა როგორც საზოგადოების, დიასპორის და ანტისემიტიზმთან ბრძოლის სამინისტრო, 2009-2013 წწ. – სახალხო დიპლომატიისა და დიასპორის სამინისტრო, ხოლო 2013 წლიდან – იერუსალიმისა და დიასპორის საკითხთა სამინისტრო. 2009-2013 წლებში ისრაელის სახელმწიფოს სახალხო დიპლომატიისა და დიასპორის მინისტრი იული-იოელ ედელშტეინი 2013 წელს არჩეულ იქნა ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარედ.

იერუსალიმისა და დიასპორის საკითხთა სამინისტრო

სამინისტროს მიზნები, საქმიანობა და ფუნქციები

იერუსალიმისა და დიასპორის საკითხთა სამინისტრო ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- ამყარებს კავშირს ისრაელის სახელმწიფოსა და დიასპორას შორის;
- განმარტავს ისრაელის პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე.

საამისოდ სამინისტროს უწყებაში ჩართულია სახელმწიფო სარეკლამო კამპანია და ჟურნალისტთა სახელმწიფო სამმართველო. სამინისტრო მუშაობს ისრაელის საკონსულოებთან და სოხნუთთან მჭიდრო კავშირში.

საგულისხმოა, რომ უწყება ხშირად იცვლის სახელს და ზოგჯერ ერთი-ორი წლის ინტერვალით არ ფუნქციობს.

სამინისტროს პრინციპები

სამინისტროს დეკლარირებული პრინციპებია:

- თვითიდენტიფიკაცია და ებრაელი ერის ერთობის შენარჩუნება სრულ დაბრუნებამდე (ალიამდე)
- ებრაული სახელმწიფოს სრული პასუხისმგებლობა მთელი ებრაელი ერის მიმართ
- ისრაელის სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება.

საბიუჯეტო ასიგნება

მოპოვებული ინფორმაციით (2013 წლის მონაცემები), ისრაელის სახელმწიფო ყოველწლიურად სამინისტროს ბიუჯეტიდან 50 მილიონ შეკელს (დაახლოებით, 25 მილიონი ლარი) გამოუყოფს. იგეგმება 2014-2017 წლებში ჯამური ასიგნების გაზრდა 2.5 მილიარდ შეკელამდე (1.750 მლრდ ლარი),

რაც ისრაელის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის 0.9%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო მიმართულებები

ამ თანხების უდიდესი ნაწილი ხმარდება:

- საერთო ებრაული თვითშეგნების ჩამოყალიბების წახალისებას
- ებრაული კულტურული ცენტრების შექმნას (საზღვარგარეთ)
- ებრაელ სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შექმნას
- სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული პროექტების მომზადებას.

ამჟამინდელი მდგომარეობა

ამჟამად იერუსალიმისა და დიასპორის საკითხთა სამინისტროს ფუნქციები, კერძოდ, სახალხო დიპლომატიისა და მთავრობის პრეს-სამსახურის ფუნქცია კვლავ გადაცემული აქვს პრემიერ-მინისტრის კანცელარიას. რაც შეეხება დიასპორათა თემატიკაზე სრულფასოვანი საქმიანობის დაწყებას, იგეგმება უწყების ბიუჯეტის დამტკიცება.

აბსორბციისა და ალიის სამინისტრო

სამინისტროს მიზნები

სამინისტროს მიზნებია:

- დაეხმაროს ებრაელებს, ღირსეულად დაბრუნდნენ სამშობლოში;
- დაიმკვიდრონ თავი, სრულად ჩაერთონ ისრაელის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და თავი იგრძნონ სრულფასოვან მოქალაქეებად;
- მოხდეს იმიგრანტთა საკითხების მონიტორინგი, რომელიც ყველა სამოქალაქო სფეროს მოიცავს.

სამინისტროს სტრუქტურა (მიმართულებები)

სამინისტროს საქმიანობის მიმართულებებია:

- საბინაო მოწყობა
- საზოგადოებაში ინტეგრაცია
- სამეცნიერო კვლევები
- მეცნიერებაში აბსორბცია
- ჩერნობილის ავარიის ლიკვიდატორთა მიმართულება
- ინსტრუქტაჟი
- ჯარისკაც-რეპატრიანტთა და ზურგის მოსამსახურეთა მიმართულება
- დაგეგმვა
- ულპანი (ივრითის შესწავლის პროგრამა)
- იურიდიული განყოფილება
- სააპელაციო კომისია
- ბიუჯეტის ფორმირების განყოფილება
- ინფორმაციის თავისუფლება
- შიდა კონტროლის განყოფილება
- ინფორმაციისა და პუბლიკაციის განყოფილება
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
- პოლიტიკის დაგეგმვა
- საქმიანი ინიციატივების მხარდაჭერა
- სიონის ტყვეთა საკითხები
- სააპელაციო კომისია
- სტუდენტთა საქმეების სამმართველო

ახალი ალია ისრაელში და სამინისტროს გაძლიერება

ებრაელი რეპატრიანტების ახალი ტალღა 1967 წელზე მოდის; ამის მიზეზად მიჩნეულია ექვსდღიან ომში დამაჯერებელი გამარჯვება. ამ პერიოდიდან ისრაელში იმატა რეპატრიანტთა რიცხვმა განვითარებული ქვეყნებიდან (აშშ, კანადა, დასავლეთი ევროპა, სამხრეთი ამერიკა და სამხრეთი აფრიკა). 1968 წელს დასავლეთი ევროპიდან 30 ათასი ებრაელი დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში. სულ ექვსი წლის განმავლობაში – 1967-1973 წლებში დაახლოებით 260 ათასი ებრაელი დაბრუნდა ისრაელში.

შესაბამისად, ამ პერიოდიდან აბსორბციის სამინისტროს ფუნქციური დატვირთვა რამდენჯერმე გაიზარდა. უწყების თაოსნობით იქმნებოდა ახალი განთავსების აბსორბციის ცენტრები და ენის შესასწავლი სკოლები. სხვა უწყებები აგვარებდნენ დასაქმების, მუდმივი განსახლების, ჯანდაცვის და სხვა საკითხებს.

სოხნუთის და სამინისტროს ფუნქციების გამიჯვნა

საერთო კოორდინაციას მიზნით 1968 წელს გადაწყდა, რომ სოხნუთი გააგრძელებდა დიასპორის გამომგზავრების საკითხების მოგვარებას, ხოლო აბსორბციის სამინისტრო სრულად აიღებდა ხელში რეპატრიანტთა აბსორბციის საკითხებს.

სტატისტიკური ინფორმაცია ალიის შესახებ

1939 წელს მსოფლიოში 16 მილიონი ებრაელი ცხოვრობდა; აქედან მხოლოდ 3% ცხოვრობდა ისტორიულ სამშობლოში. დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში 13,5 მილიონი ებრაელი ცხოვრობს, აქედან 43% – ისრაელში.

სოხნუთი – ებრაული საზოგადოება ისრაელისათვის

სოხნუთის მისია

სოხნუთის მისიაა:

- შთააგონოს ებრაელები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უწყვეტი კავშირი იქონიონ თავიანთ ხალხთან, მემკვიდრეობასთან და მიწასთან;
- დაეხმაროს მათ, ააშენონ მიმზიდველი ებრაული მომავალი და ძლიერი ისრაელი.

„სოხნუთის“ სტატუსი

სოხნუთი არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსის მქონე იურიდიული პირია და ოფიციალურად დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. მისი დამფუძნებლები არიან: მსოფლიოს სიონისტური ორგანიზაცია, ჩრდილოეთი ამერიკის ებრაული ფედერაციები, ორგანიზაცია „ქერენ ჰაიესოდ“, ძირითადი ებრაული თემები და ორგანიზაციები.

სოხნუთის ფუნქციები

1952 წლის N5713 კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სოხნუთს სახელმწიფოსგან ოფიციალურად ევალება იმიგრაციაზე ზრუნვა (დიასპორაში), აბსორბციის პროცესის ხელშეწყობა და განსახლების პროექტების დახმარება.

ამავე კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სოხნუთი გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

სოხნუთის მართვა

სოხნუთს მართავს:

- კრება. მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ; შედგება 518 (დამფუძნებლების მიერ შესაბამისი კვოტით არჩეული) წევრისგან და განსაზღვრავს სოხნუთის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- მმართველთა საბჭო. მოიწვევა წელიწადში სამჯერ, შედგება 120 მმართველისგან და პასუხისმგებელია სოხნუთის გეგმების შესრულების კონტროლზე;
- სოხნუთის აღმასრულებელი ორგანო. შედგება 26 წევრისგან და ახორციელებს პროექტებს.

სოხნუთის საპროგრამო სამმართველოები

სოხნუთის 2009 წლის რეორგანიზაციის შემდეგ დეპარტამენტების ნაცვლად ჩამოყალიბდა საპროგრამო სამმართველოები:

- ისრაელის გამოცდილების სამმართველო, რომელიც აძლევს საშუალებას ახალგაზრდა ებრაელებს, გაიზიარონ ისრაელის გამოცდილება და შეხვდნენ ისრაელელებს;
- შლიხიმის და ისრაელის მიმდევართა სამმართველო, რომელიც აგზავნის ისრაელის ემისრებს დიასპორაში მათში ებრაული იდენტობის და ისრაელთან კავშირის გასაძლიერებლად;
- რუსულენოვან ებრაელთა სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს რუსულენოვანი ყველა ებრაელისათვის სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას;
- სოციალური აქტივობის სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს ებრაელი ახალგაზრდების და სხვა დაინტერესებული ისრაელელების ჩაბმას სოციალურ საქმიანობაში;
- საპარტნიორო სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია დაეხმაროს ყველა ებრაელს, შექმნან ებრაული ერთობა ყველა საჭირო საქმეში ურთიერთდასახმარებლად;
- ალიის, აბსორბციისა და სპეციალური ოპერაციის სამმართველო, რომელიც ხელს უწყობს ებრაელთა ასვლას ისრაელში, მათ აბსორბციას ისრაელის საზოგადოებაში და საგანგებო ვითარებების დროს ებრაელთა დახმარებას მთელ მსოფლიოში.

ბიუჯეტი

სოხნუთის ბიუჯეტი 2014 წელს შეადგენს დაახლოებით 370 მილიონ აშშ დოლარს.

მიმდინარე პროგრამები დიასპორისთვის

პროგრამა „ისრაელის სახლი“

პროგრამა აბსორბციისა და ალიის სამინისტროსა და საელჩო-საკონსულოების მეშვეობით ამყარებს კონტაქტს დიასპორებთან, ებრაელ თანატომელებთან და განუმარტავს მათ, თუ რა გზებით შეუძლიათ განახორციელონ რეპატრიაცია სამშობლოში, არეგისტრირებს მათ და უწევს სრულფასოვან მომსახურებას.

პროგრამის ფარგლებში „ისრაელის სახლი“ პერმანენტულად აწყობს დიასპორებისთვის შემდეგ ღონისძიებებს:

- ებრაული დღესასწაულები
- ლექციები, ჟურნალისტების, მწერლების, ეკონომისტების მონაწილეობით
- ებრაელი მსახიობების და დასების სპექტაკლები
- ებრაული ფილმების რეტროსპექტივა და ა. შ.

პროგრამა „ცარინ ცაბარ“

პროექტი არსებობს 1991 წლიდან. ამ პროგრამის მეშვეობით, უცხოეთის მოქალაქე ებრაელთა შვილებს (18-იდან 23 წლამდე) შეუძლიათ იმსახურონ ისრაელის თავდაცვის ძალებში (ცაჰალ).

პროგრამა ისრაელის გამოცდილება

პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

- თაგლითს, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა ებრაელ მოზარდს (18-26) 10 დღით დაათვალიერონ მშობლიური ისრაელი, სრულიად უფასოდ;
- “წინ ისრაელ”, რომლის პირობებშიც ახალგაზრდა პროფესიონალებს შეუძლიათ შეხვდნენ ერთმანეთს 6-10 კვირის მანძილზე და გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა;
- “მასა”-ს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს ისწავლონ ისრაელის უნივერსიტეტებში.

პროგრამა ებრაელთა სოციალური აქტივობა

პროგრამაში შედის შემდეგი ქვეპროგრამები:

- ახალგაზრდული სოფელი, რომელიც მიმართულია სასკოლო ასაკის პრობლემური ბავშვებისათვის სკოლების შექმნასა და ერთობლივ ცხოვრებაზე;
- TANEN, რომელსაც ჩამოჰყავს ებრაელები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სამუშაოს დასაწყებად;
- ქოლ ამი – რომელიც საშუალებას აძლევს დიასპორაში მცხოვრებ ებრაელებს, მონაწილეობა მიიღონ ებრაელი ერის და ისრაელის გაძლიერებაში;
- სასესხო ფონდი, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ მეწარმეებმა და ბიზნესმენებმა; მათ სოხნუთი უდგება თავდებად ან გარანტორად სესხის აღებისას.

საგანგებო მდგომარეობის პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოში სტიქიური, ტერორისტული თუ სხვა გაუთვალისწინებელი მიზეზით დაზარალებული ებრაელების გადარჩენას, რეაბილიტაციასა და შემდგომ ხელშეწყობას.

წყაროები:

1. https://www.knesset.gov.il/govt/eng/GovtByNumber_eng.asp
2. http://www.netanyahu.org.il/en/
3. http://www.knesset.gov.il/govt/eng/GovtByMinistry_eng.asp?ministry=10
4. http://www.jewishagency.org/

პოლონეთის რესპუბლიკა
Rzeczpospolita Polska

ზოგადი ინფორმაცია

პოლონეთის რესპუბლიკა

პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა 1989 წლის 13 სექტემბერს. პოლონეთი არის ევროკავშირის (2004 წლიდან), ნატოს (1999 წლიდან) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (1945 წლიდან) წევრი ქვეყანა. 2007 წლიდან პოლონეთი შედის შენგენის ზონაში.

მიგრაციის პოლიტიკის მართვა

მიგრაციის პოლიტიკას პოლონეთში მართავს სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინირებას უწევს შინაგან საქმეთა სამინისტრო. აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენს პოლონეთის პრემიერ-მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს. 2011 წელს, სამოქალაქო საზოგადოებასთან განხილვის შემდეგ ჯგუფმა შეიმუშავა პოლონეთის მიგრაციის პოლიტიკის დოკუმენტი. პოლონეთში ფუნქციობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობისა და რეპატრიაციის დეპარტამენტი (Departament Obywatelstwa i Repatriacji)

პოლონეთის მოქალაქეობა

პოლონეთის მოქალაქეობის საკითხები რეგულირდება 1962 წელს მიღებული კანონით მოქალაქეობის შესახებ. კანონი აღიარებს ეთნიკური წარმომავლობის პოლონეთის მოქალაქეობის მიღების უფლებას. ამასთან, არსებობს მოქალაქეობის მიღების ოთხი დამატებითი მეთოდი: პრეზიდენტის მიერ მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა, აღიარების პროცედურა (რეგიონის გუბერნატორი, როგორც კომპეტენტური ორგანო), declaration procedure (რეგიონის გუბერნატორი, როგორც კომპეტენტური ორგანო) და რეპატრიაციის პროცედურა (ორმაგ მოქალაქეობას პოლონეთი არ ცნობს).

რეპატრიაციის აქტი

2001 წელს ძალაში შევიდა რეპატრიაციის შესახებ აქტი და მრავალ პოლონელს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა. რეპატრირება შესაძლებელი გახდა ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებიდან, კერძოდ, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკებიდან; ასევე, ყაზახეთიდან, ყირგიზეთი-

დან, ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან, რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთი ნაწილიდან.

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირი პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შედის სპეციალური ვიზის კატეგორიით – რეპატრიანტის ვიზით (ერთჯერადი, 12 თვის ვადით). რეპატრიაციის ვიზის მისაღებად პოლონური წარმომავლობის პირი განაცხადს ავსებს პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში და იქვე წარადგენს წარმომავლობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

რეპატრიაციის აქტის თანახმად, წარმომავლობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნევა რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირის წინაპრებისათვის პოლონეთის სახელმწიფო დაწესებულების ან ეკლესიის მიერ გაცემული დოკუმენტები.

რეპატრიაციის მასშტაბი არ არის დიდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, თანამემამულეთა მონაცემთა ბაზაში „Rodak“ დარეგისტრირებულია 2 500 ადამიანი, რომელიც ელის პოლონეთში დაბრუნების შესაძლებლობას. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის რეპატრიაციასთან მიმართებაში მთავარი პრობლემა არის არა ინტერესის ნაკლებობა, არამედ ის ხარჯები, რაც აღნიშნულ პროცესს ახლავს თან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქეობისა და რეპატრიაციის დეპარტამენტში 25 ადამიანი მუშაობს. პროცედურის გასამარტივებლად რეპატრიაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა იგეგმება. ხორციელდება სხვადასხვა სახის პროგრამა რეპატრიანტებისათვის. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულებას იღებს დაასაქმოს რეპატრიანტი თანამემამულეები და უზრუნველყოს ისინი საცხოვრებელი პირობებით. აღსანიშნავია, რომ პენსიის გაცემის დროს ადგილობრივი ხელისუფლება ითვალისწინებს რეპატრიანტის საზღვარგარეთ შრომის სტაჟს.

ვებ-გვერდები რეპატრიანტთათვის

2008 წლიდან ფუნქციობს დაბრუნების პორტალი zielonalinia.gov.pl, რომელზეც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია პოლონეთში დაბრუნების მსურველთათვის. მოქალაქეებს აქვთ საშუალება, პორტალის მეშვეობით 24 საათის განმავლობაში დასვან კანონმდებლობასთან, ეკონომიკურ გარემოსთან, დასაქმებასთან, საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული კითხვები და მიიღონ კომპეტენტური პასუხები ორი კვირის ვადაში. პორტალის თანამშრომლები თემატიკის მიხედვით მიმართავენ შესაბამის სახელმწიფო უწყებას ინფორმაციის მისაღებად. დაბრუნების შესახებ საჭირო ინფორმაცია თავმოყრილია შემდეგ ბმულზე: powroty.zielonalinia.gov.pl განვითარებულია ჭამკვლევი: POWROTNIK.

პორტალზე განთავსებულია დარეგისტრირებულ პირთა განათლებისა და სამუშაო გამოცდილების ამსახველი საინფორმაციო ბანკი (fabica CV) და დამსაქმებელთა მონაცემები.

ასოციაცია Wspolnota Polska – http://wspolnotapolska.org.pl

ასოციაცია ,,პოლონური სათვისტომო“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დააფუძნა სენატის სპიკერმა ანდჟეი სტელმახოვსკიმ 1990 წელს. ასოციაციის ამოცანებია:

- საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებთან თანამშრომლობის გაღრმავება განათლების, მეცნიერების, კულტურის, რელიგიის, ტურიზმის მიმართულებით
- პოლონური ენის სწავლების გაძლიერება საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებს შორის
- პოლონური კულტურის, თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს შორის
- საზღვარგარეთ არსებული პოლონური მემკვიდრეობის დაცვა
- პოლონელი უმცირესობების უფლებათა დაცვა.

ასოციაციის დამფუძნებელთა შორის იყვნენ პოლიტიკური ფიგურები, ეკლესიის მსახურები, ცნობილი მეცნიერები, რომელთაც კარგად იცოდნენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ თანამემამულეებთან კავშირის აღდგენას. ამჟამად ასოციაციას ჰყავს 4000-ზე მეტი წევრი (მათ შორის, დროებით სხვადასხვა პროგრამაში ჩართული მოხალისე) 23 ოფისში. ასოციაცია ახორციელებს პროექტებს, რომელთაც აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო, სპორტის სამინისტრო.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო – დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, კოორდინაციას უწევს საკონსულო სამსახურების / მისიების საქმიანობას პოლონურ დიასპორასთან მიმართებაში. პოლონეთის დიასპორის მხარდასაჭერად დეპარტამენტი გასცემს გრანტებს.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს 15-20 მილიონი პოლონური წარმომავლობის ადამიანი. გადაადგილების მიზეზი სხვადასხვაა: სახელმწიფო საზღვრების შეცვლა, იძულებითი გადასახლება, პოლიტიკური და ეკონომიკური ემიგრაცია. პოლონელთა ძირითადი სათვისტომოები წარმოდგენილია ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, უკრაინაში, რუსეთში, ლიტვაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, ირლანდიაში, ბრაზილიაში, კანადაში, ავსტრალიასა და არგენტინაში.

მსოფლიოში არსებობს პოლონეთის რესპუბლიკის 90 საელჩო, 35 გენერალური საკონსულო, 91 საკონსულო განყოფილება, 206 საპატიო კონსული. დიასპორასთან მიმართებაში ვრცელდება შემდეგი საკანონმდებლო აქტები: პოლონეთის კონსტიტუცია, მუხლი 6.2 – ,,პოლონეთის რესპუბლიკა დახმარებას გაუწევს საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებს ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობასთან კავშირის შენარჩუნებაში“. მუხლი 36 – ,,საზღვარგარეთ ყოფნის დროს პოლონეთის მოქალაქეს აქვს უფლება, იყოს პოლონეთის სახელმწიფოს დაცვის ქვეშ.“

დიასპორასთან ურთიეთობის დეპარტამენტი რეგულარულად აცხადებს საგრანტო პროექტებს, რომელთაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციები, თვითმმართველობები, უნივერსიტეტები. ჯამში, დეპარ-

ტამენტის ბიუჯეტი აღემატება 40 მილიონ ევროს.

2014 წელს გაცემული გრანტების სხვადასხვა მიმართულებით დაიხარჯა, მათ შორის: განათლება (2 714 000 ევრო), მედია (1 524 000 ევრო), ინფრასტრუქტურა (სკოლები-1 310 000, პოლონეთის ცენტრები 789 000 ევრო), საზღვარგარეთ გაცემული გრანტები (4 520 000 ევრო), პოლონეთში გაცემული – 3 190 000 ევრო. საერთო ჯამში პოლონეთში 136 დიასპორულ პროექტზე დახარჯულია 14 050 000 ევრო.

Karta Polska – პოლონელის ბარათი

პოლონელის ბარათი არის პირის პოლონური წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მისი მიღება შესაძლებელია დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ. პოლონელის ბარათის მფლობელის უფლებები, ბარათის გაცემის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურა რეგულირდება პოლონელის ბარათის აქტით (Journal of Laws 2007, № 180, item 1280 with further amendments). პოლონელის ბარათის მიღება არ უტოლდება პოლონეთის მოქალაქეობის ან ბინადრობის ნებართვას მიღებას. იგი ხაზს უსმევს პირის წარმომავლობას და პოლონეთთან კუთვნილებას.

TVPolonia.com

TV Polonia, ,,ვირტუალური ფანჯარა პოლონეთში“ არის პოლონეთის ტელევიზიის მიერ აკრედიტებული ვებ-გვერდი, რომელსაც უფლება აქვს, ინტერნეტის საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია მსოფლიოს მასშტაბით. მომსახურება ხელმისაწვდომია 2000 წლის ივნისიდან. TV Polonia დარეგისტრირებულ მომხმარებელს სთავაზობს სიახლეთა ფართო სპექტრს, პოლონეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას, სერიალებს, საბავშვო გადაცემებს, გასართობ პროგრამებს და ა.შ.

წყაროები:

1. http://www.polska.pl
2. ელექტრონული პორტალი: http://zielonalinia.gov.pl
3. პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო: https://www.msw.gov.pl/en
4. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: http://www.msz.gov.pl/en/
5. http://www.tvpolonia.com/
6. http://wspolnota-polska.org.pl/
7. https://www.tvpolonia.com/
8. 2014 წლის მარტის სასწავლო ვიზიტის[1] მასალები

[1] სასწავლო ვიზიტი განხორციელდა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

საბერძნეთის რესპუბლიკა
Ελληνική Δημοκρατία

საზღვარგარეთ მცხოვრებ ბერძენთა გენერალური სამდივნო

ბერძენი ემიგრანტები მსოფლიოს 140 ქვეყანაში ცხოვრობენ. მათი რაოდენობა დაახლოებით შვიდ მილიონს აღწევს. ბერძნული დიასპორის ისტორია სამ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა ოსმანეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში, მეორე ნაწილი „მეორე მსოფლიო ომის“ დაწყებამდე, მესამე ნაწილი კი – მისი დასრულების შემდეგ.

იმის გათვალისწინებით, რომ ბერძნული დიასპორა არის დიდი და მას საგრძნობი წვლილი შეაქვს საბერძნეთის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში, 1985 წელს შეიქმნა საბერძნეთის დიასპორის გენერალური სამდივნო, რომელიც წარმოადგენს საბერძნეთის სახელმწიფო პოლიტიკის აღმასრულებელ ორგანოს. მისი მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრებ ბერძნებთან ურთიერთოების დამყარება და მათი პრობლემების გადაჭრა. საბერძნეთის დიასპორის გენერალური სამდივნო საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებელი ორგანოა.

ბერძნული დიასპორული ორგანიზაციები სამი ტიპისაა და მათი რაოდენობა სამი ათასამდე აღწევს. პირველი ტიპის დიასპორული ორგანიზაცია რეგიონული წარმოშობის მიხედვით ყალიბდება, მაგალითად, მაკედონიელების გაერთიანება ან თესალიელების გაერთიანება. მეორე ტიპის ორგანიზაციები ფედერაციის სახით არის დარეგისტრირებული, მაგალითად, ბერძნების გაერთიანება გერმანიაში ან ბერძენი პონტიელების გაერთიანება ევროპაში. მესამე ტიპის ორგანიზაცია კი კონფედერაციის ტიპის ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ერთი და იმავე პროფილის დიასპორულ ორგანიზაციებს, ასეთებია, მაგალითად, მსოფლიო პანმაკედონიელები ან მსოფლიო პანთესალიელები. ბოლოს, გხვდება ისეთი დიასპორული ორგანიზაციები, რომლებიც მრევლის დაქვემდებარებაშია.

საბერძნეთის დიასპორის გენერალური სამდივნოს ისტორია

გენერალური სამდივნოს პირველი ამოცანა, დღიდან მისი ჩამოყალიბებისა, იყო ბერძნული დიასპორის სამართლებლივი მდგო-

მარეობის მოწესრიგება ადგილსამყოფელ ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით ეხებოდა უცხოეთში მცხოვრებ ბერძნული დიასპორის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც დიასპორული ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს იმ მიზნით, რომ საბერძნეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერა არაკეთილსინდისიერად გამოეყენებინათ.

სამართლებრივი პრობლემების მოგვარების შემდეგ საბერძნეთის დიასპორის გენერალურმა სამდივნომ ახალი გამოწვევები და მიზნები დაისახა, რაც ეხებოდა ბერძნულ ენასა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

პირველ რიგში, საბერძნეთის მთავრობამ, საბერძნეთის კონსტუტიციის 108 მუხლის თანახმად, 1985 წელს დაარსა „საზღვარგარეთ მყოფ ბერძენთა მსოფლიო საბჭო“, რომლის ხელმძღვანელი ბერძნული დიასპორის წარმომადგენელია; იგი ინიშნება არჩევნების გზით. აღნიშნული ნაბიჯით საბერძნეთის მთავრობამ ხაზი გაუსვა დიასპორის წარმომადგენლებისა და დიასპორული ორგანიზაციების მნიშვნელობას და მათ ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესში.

საბერძნეთის მთავრობამ გაითვალისწინა საზღვარგარეთ მცხოვრები წარჩინებული ბერძნების როლის მნიშვნელობა და დაარსა „ბერძენთა მსოფლიო პარლამენტთაშორისი ასოციაცია“, რომლის წევრები საზღვარგარეთ მომუშავე პარლამენტის წევრები, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები და სხვა მმართველ პოზიციაზე მომუშავე ბერძნები არიან. აღნიშნული ასოციაციის შეხვედრები ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ამ შეხვედრებზე საბერძნეთში მიმდინარე პროცესები და ქვეყნის პრობლემები განიხილება. ასევე, დაარსებულია „არჩეულ ბერძენთა კავშირი“, რომელშიც გაერთიანებულია 1500-2000 წევრი. მათ საქმიანობას წარმოადგენს მუნიციპალური და სხვა ადგილობრივ საქალაქო ორგანოების დახმარება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სახელმწიფოსა და სამდივნოს ამოცანა გახდა ბერძნული იდენტობის, კულტურის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნების ხელშეწყობა, რაც აისახა სამდივნოს მუშაობის შემდეგ მიმართულებებში:

- კავშირის დამყარება და გამყარება საბერძნეთის სახელმწიფოს, დიასპორულ ორგანიზაციებსა და დიასპორას შორის
- ენისა და კულტურის თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა
- წარჩინებული დიასპორის წარმომადგენლების მეშვეობით ქვეყნის პოპულარიზაცია
- დაბრუნებული ემიგრანტების რეინტეგრაცია

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები:

- ევროპის განყოფილება
- ამერიკის განყოფილება
- აფრიკის, აზიისა და ოკეანეთის განყოფილება
- პროგრამების განყოფილება
- დამოუკიდებელი განყოფილება
- ადმინისტრაციული განყოფილება (აქ შედის რამდენიმე დეპარტამენტი)

სამდივნოს მიერ განხორციელებული საქმიანობა

- ბერძნულენოვანი სკოლის დაარსება ადგილსამყოფელ ქვეყნებში, სადაც ბევრი ბერძნული დიასპორა არსებობს
- ადგილსამყოფელი ქვეყნის ბერძნული სკოლების პედაგოგებით უზრუნველყოფა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით
- ბერძნული ენის, როგორც არჩევნითი საგნის, შემოღება როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში
- სრულიად ბერძნული ფორუმების ორგანიზება
- ბერძნული შთამომავლობის პირთა დაბრუნების შემთხვევაში მათი რეინტეგრაციის უზრუნველყოფა
- საზაფხულო/საზამთრო ბანაკების ორგანიზება ახალგაზრდა ბერძენი დიასპორელებისათვის
- საზღვარგარეთ კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა
- საზღვარგარეთ მცხოვრები ბერძენი ჟურნალისტებისათვის სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება
- „საზღვარგარეთ მყოფ ბერძენთა მსოფლიო საბჭოსთან“ თანამშრომლობა და მისი მხარდაჭერა
- დიასპორული ორგანიზაციების მხარდაჭერა

ამჟამინდელი მდგომარეობა

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არასაკმარისი სახსრების გამო გენერალური სამდივნო ვერ ახერხებდა ფინანსურ მხარდაჭერას. 2014 წელს აღიდგინა ფუნქციები და შეძლო დსთ ქვეყნებში მოღვაწე ბერძნული ენის პედაგოგთა ათდღიანი გადამზადება და საზაფხულო/საზამთრო ბანაკების მოწყობა დიასპორის ბავშვებისათვის.

წყაროები

1. http://www.ggae.gr/
2. http://el.sae.gr/

საქართველო

ქართული დიასპორა გულისხმობს საქართველოდან როგორც ისტორიულ, ისე ამჟამინდელ ემიგრაციას. გასული ოცი წლის განმავლობაში დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანი წავიდა საქართველოდან ემიგრაციაში, რაც მთლიანი მოსახლეობის 25% შეადგენს. დიდი ქართული დიასპორებიდან აღსანიშნავია: რუსეთი (700 ათასზე მეტი), თურქეთი, აშშ (150 ათასამდე), საბერძნეთი, იტალია და ესპანეთი. მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად ფუნქციობს 231-ზე მეტი ქართული დიასპორული ორგანიზაცია.

2008 წელს შეიქმნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის მიზანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება და თანამშრომლობა 360 გრადუსით, რაც გულისხმობს:

ა) ფართო სპექტრის პირდაპირი კონტაქტებისა და კავშირების დამყარება და გაფართოება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ საქართველოსთან მეგობრობით ან საქართველოთი დაინტერესებულ ქართველოლოგიურ, სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივ ცენტრებთან, დიასპორულ ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან, ფონდებთან, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, სიძველეების, განძების, ხელნაწერების, არქივებისა და სხვა ისტორიული კულტურული ფასეულობების მოძიება, შეგროვება და შესაბამის მოლაპარაკებებში მონაწილეობა;

გ) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა;

დ) ხელშეწყობა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და საზღვარგარეთ მოქმედი შესაბამისი დიასპორული ორგანიზაციებისათვის ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურისა და თანამედროვე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გაცნობა-შესწავლის საქმეში;

ე) გარე მიგრაციული (ემიგრაციის) ნაკადების მონიტორინგი;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ემიგრანტთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

ზ) დიასპორული ინვესტიციების მოზიდვისა და საქართველოში განხორციელების ხელშეწყობა;

თ) დიასპორულ ორგანიზაციათა რეესტრის შექმნა და წარმოება;

ი) კანონმდებლობით დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

ქართული დიასპორის ჩართულობისა და ამ გზით საქართველოსთვის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური სარგებლის გენერირების მიზნით, ამჟამად, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშაობს ინოვაციური ინსტრუმენტების განვითარებაზე. საქართველოში პრობლემების მოგვარებისა და შესაძლებლობების შექმნის საქმეში დიასპორის თემებს უზარმაზარი პოტენციალი მოეპოვება.

ქართული დიასპორის ფინანსური პოტენციალი ნათლად არის გამოხატული საქართველოში განხორციელებული მიმდინარე ფულადი გზავნილების ნაკადებით, რაც, საერთო ჯამში, საქართველოს მშპ-ის 9-10%-ს შეადგენს და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მეტ თანხას გულისხმობს. აღნიშნული ფულადი გზავნილების ეფექტურად გამოყენება საკმარისი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად.

ყოველწლიურად ქართველები სამშობლოში აგზავნიან მილიარდობით აშშ დოლარს. ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 1.945 მილიარდი აშშ დოლარი, 2014 წელს კი, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ეს ციფრი სავარაუდოდ 2.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს. საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში დიასპორის ჩართულობა არ არის ახალი, თუმცა, იგი სპონტანური სახისაა. შესაბამისად, იქმნება შესაძლებლობა, რომ ეს პროცესი უფრო ორგანიზებული გავხადოთ.

მიღწევები

2014 წლის 1 აგვისტოს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გახდა დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსის (International Diaspora Engagment Alliance, IdEA) წევრი. აღნიშნული ალიანსი ხელს უწყობს დიასპორებზე ორიენტირებულ ინიციატივებს.

2011 წლის მაისში, USAID-თან თანამშრომლობით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გლობალურ პარტნიორობებში სახელმწიფო მდივნის ოფისმა დააფუძნა დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსი, რომლის ეგიდითაც თანამშრომლობა მიზნად ისახავს დიასპორის მაქსიმალურად ჩართულობის მიღწევას და საქართველოში დიასპორის მეწარმეობის განვითარების წახალისებას.

2014 წლის 12-18 ოქტომბერს, IDEA-სთან თანამშრომლობით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ორგანიზება გაუწია გლობალური დიასპორის კვირეულს. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში თბილისში რვა, მსოფლიოს მასშტაბით კი 65-ზე მეტი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის დიასპორული ეკონომიკური ფორუმი, დიასპორის მარათონი,

დიასპორის ხელოვნების გამოფენა, 1924 წლისადმი მიძღვნილი დიასპორის კონფერენცია, დიასპორის მემორიალის გახსნა, დიასპორის ფერწერული ტილოების გამოფენა და ოფიციალური მიღება და სხვა.

საფუძველი დაედო დიასპორის ეკონომიკურ ფორუმსაც, რომელიც ოფიციალურად გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. ეკონომიკურ ფორუმზე 2014 წლის 13 ოქტომბერს სამინისტროსა და USAID-ს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, სოფლის მეურნეობის ეფექტურად აღდგენის REAP პროგრამის ფარგლებში.

ამჟამად დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსი ერთობლივად მუშაობს გლობალური პარტნიორობის მემორანდუმზე.

დიასპორასთან ჩართულობის არსებული ინსტრუმენტები და ინიციატივები

გრძელდება აქტიური კოორდინაცია ქართული დიასპორის თემებთან და ორგანიზაციებთან. სამინისტრო მუშაობს:

- საკვირაო სკოლებთან და აწვდის მათ წიგნებსა და საგანმანათებლო მასალებს.
- ცეკვის სტუდიებთან და კულტურულ ცენტრებთან, რომელთაც მიეწოდება ტრადიციული სამოსი, ფორმები და სხვა საჭირო მასალები;
- ბიზნეს-საბჭოებთან და აკეთებს ყველაფერს, რათა წახალისდეს მათი კოორდინაცია ადგილობრივ ბიზნესებსა და სამთავრობო სექტორთან.

ასევე, სამინისტრო ინდივიდუალურად განიხილავს კერძო დიასპორის წევრებთან მათთვის საჭირბოროტო საკითებს

Tanamemamule.ge არის ახალი ინტერნეტ-სივრცე, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს მანძილს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს შორის. ქსელი ასევე იქნება ეფექტური მაკავშირებელი სახელმწიფოსა და მის ემიგრანტებს შორის. ქსელში განთავსებულია საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, ემიგრანტებისთვის საინტერესო პროექტები და პროგრამები. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს მისთვის საინტერესო ადამიანებთან, პროფესიულ თუ თემატურ ჯგუფებთან, ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან მსოფლიოს მასშტაბით, ასევე მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გამოკითხვასა თუ თამაშში. ქსელში მოქმედებს სარეიტინგო სისტემა. მომხმარებლებს ეტაპობრივად შევთავაზებთ სიახლეებს – პროექტების, პროგრამების, კონკურსების, შემეცნებით ინტელექტუალური თამაშების და ა.შ. სახით. ქსელის ფუნქციური თუ შინაარსობრივი განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მომხმარებლის წინადადებები და შენიშვნები. პროექტი შეიქმნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით. Tanamemamule.ge-ს ყველა ფუნქციის გასააქტიურებლად მომხმარებელმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი იწყებს კონკურსს: ,,გაუზიარე

შენი გამოცდილება სამშობლოს" მონაწილეობისათვის ვიწვევთ უცხოეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებსა და მაგისტრანტებს, შეძენილი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, წერილობითი პროექტების სახით გაუზიარონ სამშობლოს თავიანთი ხედვა და რეკომენდაცია საქართველოში არსებულ გამოწვევათა პროგრესული მოდელების დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ყოველწლიურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე საქართველოს სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა. 2014 წლის მსგავსად, მიმდინარე წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატი „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანებასთან" ერთად, ქვეყნიდან გადინებული ინტელექტუალური რესურსის მოზიდვის მიზნით, განახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. საზღვარგარეთ მყოფ სტუდენტებს არდადეგების დროს საშუალება მიეცემათ გაეცნონ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში მიმდინარე საქმიანობას, მუშაობის სპეციფიკას, იმ რეალობას და გამოწვევებს, რის წინაშეც საქართველო ამჟამად დგას.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რამდენიმე თვეა აქტიურად მუშაობს „დიასპორა ბანკინგის" პროექტზე, რაც ითვალისწინებს ფინანსური ინსტიტუტების მიერ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი თანამემამულეებისათვის შეღავათიან და სასარგებლო საბანკო მომსახურების შეთავაზებას.

ფულადი გზავნილები არის დიასპორების თანმხლები ფინანსური ატრიბუტი ადამიანის მიგრაციის ისტორიაში. საქართველოში დიასპორული ფულადი გზავნილების სისტემა ხშირად სპონტანური სახისაა, გამოგზავნილი თანხა იხარჯება და ქრება, რადგან დიასპორისათვის სამშობლოში არ არსებობს შესაბამისი დიასპორული ბანკის ანგარიშების დაგროვებითი მომსახურება.

„დიასპორული საბანკო ანგარიშები" არის ფულადი გზავნილების მობილიზების ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული მეთოდი, რომელიც აქტიურად გამოიყენება დიასპორით გამორჩეულ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის სომხეთში და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. ბანკებს დიასპორებისთვის შემუშავებული აქვთ სპეციალური მომსახურების პაკეტები, რომლებიც დიასპორას სთავაზობს ხელსაყრელ პირობებს და საპროცენტო განაკვეთებს სამშობლოში ანაბრების შესანარჩუნებლად.

ქართული დიასპორისთვის კაპიტალ-ბანკმა წარმოადგინა კონკრეტული წინადადებები და შეიმუშავა ქვემოთ მოყვანილი დიასპორული საბანკო სერვისები:

1) დიასპორული სადეპოზიტო ანაბრები – საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ ტარიფებთან შედარებით +1%-ით მაღალი საპროცენტო სარგებელი
2) დიასპორული საოჯახო ბარათები
3) 24-საათიანი ქოლ ცენტრი
4) ოჯახის წევრების დისტანციური დაზღვევა
5) ინტერნეტ-ბანკი და კომუნალური გადარიცხვები.

პროექტი იწყებს მოქმედებას საპილოტე რეჟიმში.

,,გლობალური დიასპორული კვირეულის'' რეგიონული დიასპორული ეკონომიკური ფორუმი ხელს შეუწყობს დიასპორის წარ-

მომადგენლების მაქსიმალურ ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და მათ მისცემს ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან უშუალო კონტაქტების დამყარების საშუალებას.

ფორუმის მონაწილეები ისაუბრებენ ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესში დიასპორის უმნიშვნელოვანეს როლსა და პოტენციალზე. კვირეულის ფარგლებში ჩატარდება განსხვავებული ფორმატის მრავალი დიასპორული ღონისძიება.

თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

მიგრაციისა და განვითარების ურთიერთდამაკავშირებელი ინიციატივების განსახორციელებლად, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფოს მინისტრის აპარატი ინტენსიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ხაზგასასმელია ევროკავშირის მხარდაჭერა ისეთი ღონისძიებების განხორციელებაში, როგორებიცაა ლეგალური ემიგრაციის წახალისება, ემიგრანტთა ინფორმირებულობის გაზრდა, სარეინტეგრაციო პროგრამები დაბრუნებული ემიგრანტებისათვის. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ევროკავშირის ინიციატივა ,,მეტი მეტისთვის", რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესებას და შესაბამისი პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებას უწყობს ხელს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობით ჩატარდა არაერთი საინფორმაციო ღონისძიება საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის. ეს ხორციელდება როგორც უშუალოდ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძებების ფარგლებში, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინირებული პროექტების ფარგლებში (ERGEM პროექტი მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან/ICMPD, ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან/DRC და სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით; მშვიდობის, დემოკრატიის და გავითრების კავკასიური ინსტიტუტის/CIPDD და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის/GYLA მიერ პროექტში ევროკავშირს და საქართველოს შორის კარგად მართული მირგაციის ხელშეწყობა).

ხაზგასასმელია კვალიფიციური თანამემამულეების დაბრუნების ხელშემწყობი პროგრამები, როგორიცაა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ განხორციელებული მაღალკვალიფიციურ თანამემამულეთა დროებითი დაბრუნების პროგრამა (TRQN III), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საერთაშორისო მიგრაციის და განვითარების ცენტრის (CIM) მრავალწლიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა გერმანიაში მცხოვრები კვალიფიციური ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების მიმართულებით.

ამგვარი პროგრამები ხელს უწყობს საქართველოს დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესში და ამყარებენ კავშირს მიგრაციასა და განვითარებას შორის.

სერბეთის რესპუბლიკა
Република Србија / Republika Srbija

ზოგადი ცნობები

სერბეთი (Србија/Srbija) ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ცენტრალურ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს. ჩრდილოეთით მას უნგრეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით – რუმინეთი და ბულგარეთი, სამხრეთით – მაკედონია და ალბანეთი, ხოლო დასავლეთით – მონტენეგრო, ხორვატია და ბოსნია-ჰერცეგოვინა. სერბეთის დედაქალაქია ბელგრადი. სერბეთი მიეკუთვნება დუნაის აუზს, რომელშიც ჩაედინება ქვეყნის დიდი მდინარეები.

სერბები სლავი ერია, რომლის მოსახლეობაც ბოლო შეფასებით 7 498 001 შეადგენს. ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ: ბოსნია და ჰერცეგოვინაში (1 500 000), გერმანიაში (507 ათასი), მონტენეგროში (200 ათასი), ხორვატიაში (200 ათასი), ავსტრიაში (177 ათასი), ამერიკის შეერთებულ შტატებში (169 ათასი), კოსოვოსა (112 ათასი) და კიდევ სხვა რამდენიმე ქვეყანაში და აქვთ მეტნაკლები სიდიდის დიასპორები.

სერბები ლაპარაკობენ სერბულ ენაზე, რომელსაც ადრე სერბულ-ხორვატიულ ენას უწოდებდნენ. დამწერლობა ოფიციალურად კირილური შრიფტით არის მიღებული, თუმცა გამოიყენება ლათინურიც.

სერბ მორწმუნეთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ნაწილი – კათოლიკედ, ხოლო სერბეთის მოქალაქეთა კიდევ უფრო მოკრძალებული რიცხვი თავს პროტესტანტად და მუსლიმად მიიჩნევს. რელიგიური განსხვავება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წამოშობილ სახელმწიფოებში ხშირად ეთნიკურობის განმსაზღვრელიცაა. სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქია ირინეუსი.

2013 წლის მარტიდან სერბეთი ევროკავშირში გაწევრიანების ოფიციალური კანდიდატია.

სერბეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით, დიასპორის საკითხები დიასპორასთან და რეგიონში სერბებთან თანამშრომლობის ოფისის კომპეტენციაშია /Управа за сарадњу с дијаспором и Србима у региону/. ეს ოფისი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „ქოლგის ქვეშ“ იმყოფება.

დიასპორასთან და რეგიონში სერბებთან თანამშრომლობის აპარატი

მთავრობის აპარატიდან კურირებას სერბეთის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ახორციელებს. დიასპორასთან და რეგიონში სერბებთან თანამშრომლობის ოფისი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, საგარეო საქმეთა სამინისტროში ექვემდებარება მიგრაციის პოლიტიკის, დიასპორისა და სოციალური უშიშროების დეპარტამენტს. აღნიშნულმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს საზღვარგარეთ მცხოვრები სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა ხმის მიცემის ხელშეწყობა და უფლებების დაცვა, ასევე, მათი სულიერი, ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნება, დიასპორულ ორგანიზაციებს შორის და სამშობლოსთან ურთიერთობები; ასევე, უნდა უზრუნველყოს მათი ინფორმირებულობა სერბეთის რესპუბლიკის პოლიტიკის შესახებ, მათი ჩართულობა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებში, სურვილის შემთხვევაში მათი დაბრუნება სამშობლოში, ასევე, კანონით განსაზღვრული სხვა სახის აქტივობები.

„კანონი დიასპორისა და რეგიონში სერბების შესახებ“/“Law on the Diaspora and Serbs in the Region“/ 2009 წელს იქნა მიღებული, გამოქვეყნდა სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალურ მაცნეში /გაზეთში/. ის 46 მუხლისგან შედგება.

მასში ჩამოყალიბებულია ძირითადი განმარტებები და ამოცანები: თუ ვინ მიიჩნევა დიასპორად და სერბებად რეგიონში; როგორია აქტივობის ფორმები; როგორია მშობლიურ ქვეყანასთან (ასევე, მის სახელმწიფო სტრუქტურებთან) დიასპორის კავშირის დამყარება-გაღრმავების პრინციპები. აქვე მითითებულია სერბთა კრების დაფუძნება და მისი კომპეტენციები: ბიუჯეტი, საბჭოს ფორმირება, დიასპორული ორგანიზაციების აღრიცხვიანობა, ეროვნული ჯილდოები. კანონის მეორე თავი კონკრეტულად განსაზღვრავს ტერმინებს:

1) „დიასპორა“ – ა. საზღვარგარეთ მცხოვრები სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ბ. სერბი ხალხი – ემიგრანტები, სერბეთის რესპუბლიკისა და რეგიონის ტერიტორიიდან და მათი შთამომავლები.
2) „სერბები რეგიონში“ – აღნიშნავს სერბებს, რომლებიც ცხოვრობენ: სლოვენიის, ხორვატიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, მონტენეგროს, მაკედონიის, რუმინეთის, ალბანეთისა და უნგრეთის რესპუბლიკებში.
3) „მშობლიური ქვეყანა“ – სერბეთის რესპუბლიკა.

მეთორმეტე თავი ეთმობა დიასპორასთან და სერბებთან რეგიონში ურთიერთობის შენარჩუნებისა და გაძლიერების სტრატეგიას, რაც მთავრობის მიერ უნდა იყოს განსაზღვრული.

სერბეთის დიასპორის დღედ (თავი 13) დადგენილია 28 ივნისი, წმინდა ვიტუსის ხსენების დღე (Vidov dan).

კანონის მიხედვით, დიასპორისა და „რეგიონში სერბებისათვის“ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს დიასპორისა და „რეგიონში სერბების“ ასამბლეა წარმოადგენს.

მისი კომპეტენციაა: განსაზღვროს დიასპორის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები,

მოამზადოს სტრატეგიის შესამუშავებლად საჭირო გაიდლაინები, დიასპორის და „რეგიონში სერბების“ საბჭოების არჩევა, მათი საქმეების მონიტორინგი. ასამბლეა ადგენს სამოქმედო პროცედურულ წესებს და მათ ზოგად პირობებს გადაწყვეტილებების მისაღებად. ის უნდა შედგებოდეს 45 დელეგატისგან, მსოფლო მასშტაბით. ასამბლეის საქმიანობაში უნდა მონაწილეობდეს მთელი მთავრობა, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თითო წარმომადგენელი, ასევე, მეცნიერების, განათლების, კულტურის სფეროსა და მას-მედიის წარმომადგენლები. რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც საპატიო სტუმარი, შეიძლება დაესწროს ასამბლეის სხდომებს. ასამბლეის წევრების არჩევაში არ ერევა რესპუბლიკა.

ასამბლეა ქმნის 1. ეკონომიკის, 2. დიასპორის სტატუსის, 3. კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის საბჭოებს.

განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამშობლოსა და დიასპორას შორის კავშირის განმტკიცების საქმეში დიასპორის საკითხებში კომპეტენტურ სამინისტროს აქვს დაწესებული ეროვნული ჯილდოები:

1. „სერბეთის დედა“ /“Majka Srbija“/.
2. „ნიკოლა ტესლა“ – მეცნიერების სფეროში.
3. „ვუკ კარაჯიჩ“ – სერბული ენისა და კირილური ანბანის სწავლა-გავრცელებაში და სხვ. (სულ 7).

აღნიშნული კანონის ზედამხედველობა და იმპლემენტაცია ევალება დიასპორის საკითხებში კომპეტენტურ სამინისტროს.

სერბეთის ოფიციალური და ასევე მსოფლიო ბანკის ინფორმაციით სერბული დიასპორული ფინანსური გადმორიცხვებმა ბოლო წლებში, მსოფლიო მასშტაბით, დაახლოებით 5,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ 2010 წ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის /UNHCR/ ანგარიშით, სერბეთი, 86 ათასი ლტოლვილითა და 21 ათასი იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობით, ევროპაში იძულებითი მიგრაციის სიის პირველ ქვეყანას მიეკუთვნება.

დიასპორისა და რეგიონში სერბების სახელმწიფო ოფისის ყოფილი დირექტორის დოქტ. სლავკა დრაჟკოვიჩის გამოსვლაში (2014 წ.) ხაზგასმულია, თუ რა დიდია დიასპორული პოტენციალი, როგორც ადამიანური რესურსის (10 ათასზე მეტი ექსპერტი სხვადასხვა სფეროში), ისე ფინანსური თვალსაზრისით (მარტო ევროპის მასშტაბით აკუმულირებულია 30 მილიარდი ევრო). ხოლო მილომირ მანდიჩი, მრჩეველი, ხაზს უსვამს დროული რეფორმების მნიშვნელობას სტაბილური გარემოს შესაქმნელად, რაც სრულიად აუცილებელია ბიზნესის განვითარებისათვის. ამჟამად სახელმწიფო ოფისის მიგრაციისა და დიასპორის პოლიტიკის საკითხებს დოქტ. ლილიანა ნიკშიჩი ხელმძღვანელობს.

წყაროები:

1. http://www.dijaspora.gov.rs/en/
   Ministarstvo spoljnih poslova / The Ministry of Foreign Affairs
2. http://www.srpskadijaspora.com/
   Organizaciona šema
3. http://www.dijaspora.gov.rs/en/diaspora-serbs-region-jurisdiction-ministry-foreign-affairs/

Diaspora and Serbs in the region under the jurisdiction of the Ministry of Foreign Affairs

4. http://www.dijaspora.gov.rs/en/assembly-diaspora-serbs-region/
Assembly of the Diaspora and Serbs in the region
5. http://www.srpskadijaspora.rs/
Nova Srpska dijaspora | Internet novine serbske
6. http://www.lifelineaid.org/lifeline/statements_eng/stat433eng.html
Their Royal Highnesses Crown Prince Alexander and Crown Princess Katherine welcomed lecturers and participants of the Fourth “Serbian Diaspora Medical Conference 2013“.
7. http://www.britic.co.uk/current_issue.php?article_id=96
SERBIA AND THE DIASPORA... DETENTE OR FALSE DAWN?
8. http://eudo-citizenship.eu/databases/national-citizenship-laws/?search=1&country=Serbia
Law on the Diaspora and Serbs in the Region

სომხეთის რესპუბლიკა
Հայաստանի Հանրապետություն

სომხეთის რესპუბლიკის დიასპორის სამინისტრო

2008 წელს სომხეთისა და დიასპორის პარტნიორობის განვითარების და სახელმწიფო პოლიტიკის სრულფასოვანი, ეფექტური განხორციელების მიზნით შეიქმნა სომხეთის რესპუბლიკის დიასპორის სამინისტრო.

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით, 2008 წლიდან დიასპორის მინისტრად დანიშნულია გრანუშ აკოპიანი.

დიასპორის სამინისტროს მიმართულებები

სომხეთისა და დიასპორის პარტნიორობის მთავარი მიზანია როგორც სომხეთის თითოეული მოქალაქის, ისე ქვეყნის გარეთ მცხოვრები ეთნიკური სომხების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი კანონიერი ინტერესების დაცვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, სომხური ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

სომხეთისა და დიასპორის პარტნიორობის განვითარების მიზნით, დიასპორის სამინისტრო მოწოდებულია შეიმუშაოს და განახორციელოს სრულიად სომხური მიზნობრივი პროგრამები:

- საერთო სომხური საგანმანათლებლო პროგრამები
- დიასპორაში ზოგადსაგანმანათლებლო და ერთდღიანი სომხური სკოლების ფუნქციობა
- სომხური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გავრცელება
- არასომხურენოვანი და სხვა რელიგიის სომეხ თანამემამულეებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც ხელს შეუწყობს დიასპორელი სომეხი ახალგაზრდების სამშობლოსთან კავშირს და სამშობლოში დაბრუნებას
- ქვეყნაში მიმდინარე ეკონომიკურ პროექტებში სომხური დიასპორის ჩართულობის ხელშეწყობა.

სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ერთიანი საერთო სომხური საინფორმაციო ველის შექმნა და განვითარება; სომხეთის სახელმწიფოსა და დიასპორის ერთიანი ძალისხმევით სხვა სახელმწიფოებისა და სა-

ერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სომეხი ხალხის გენოციდის აღიარება, მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, ანტისომხური პროპაგანდისა და სომხეთის ისტორიის გაყალბების ფაქტების გამოვლენა და აღმოფხვრა.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები

1. ინფორმაციისა და ტელეკომუნიკაციის განყოფილება
2. მას-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთერთობის განყოფილება
3. საერთო სომხური პროგრამების განყოფილება
4. რეპატრიასციისა და კვლევის განყოფილება
5. საერთო სომხური, საერთაშორისო და საეკლესიო სტრუქტურებთან ურთიერთობის განყოფილება
6. ფინანსურ-ეკონომიკური განყოფილება
7. იურიდიული განყოფილება
8. სომხური დიასპორის სათვისტომოებთან დსთ-ის ქვეყნების ურთიერთობის განყოფილება
9. ამერიკის სომხური დიასპორის სათვისტომოებთან ურთიერთობის განყოფილება
10. ევროპის ქვეყნების სომხური დიასპორის სათვისტომოებთან ურთიერთობის განყოფილება
11. შუა და ახლო აღმოსაველთის ქვეყნების სომხური დიასპორის სათვისტომოებთან ურთიერთობის განყოფილება

დიასპორის სამინისტროს მიმდინარე პროგრამები

1. დიასპორული კვლევების ორგანიზება – პროგრამის მიზანია სომხური სათვისტომოების შესწავლა, იქაური პრობლემების გამოვლენა და შესწავლა.
2. საერთო სომხური ფორუმების ორგანიზება – პროგრამა მიზნად ისახავს დიასპორაში სამეცნიერო, საგანამანათლებლო, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში არსებული პოტენციალის გაერთიანებას და ეფექტურ გამოყენებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სამი ფორუმის ორგანიზება:
   - „სომხეთი-დიასპორა“ მეხუთე ფორუმი
   - დიასპორაში სომეხ ქალთა ფორუმი
   - სომეხი ხალხის გენოციდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამდღიანი ფორუმი.
3. კულტურული ღონისძიებების ორგანიზება – პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1) „ჩვენი წარმატებულები“; 2) საერთო სომხური კონკურსი; 3) დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა (მივლინებები); 4) სათვისტომოების (რეგიონული) საგანმანათლებლო-კულტურული მხარდაჭერა; 5) ახლო აღმოსავლეთის სომხური დიასპორის მხარდაჭერა; 6) დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელების რეგიონული შეხვედრები სომხეთში ან დიასპორაში; 7) დიასპორაში სამეცნიერო, საგანამანათლებლო, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში მოღვაწე თანამემამულეების შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შევსება.

4. სომხური დიასპორის ინტეგრაციის პროცესის ორგანიზება. სომხური დიასპორის (ირანიდან, სირიიდან) ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: 1) ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული იურიდიული აქტების მომზადება და წარდგენა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობაში; 2) სამშობლოსათნ სომხური დიასპორის ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; 3) სომხეთში სომხური დიასპორის საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა.
5. „არი ტუნ-2014“ – აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები სომეხი მოზარდების დასვენებას სომხეთში. მოზარდები დაისვენებენ როგორც საზაფხულო ბანაკებში, ისე ოჯახებში. პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას, ექსკურსიებსა და მუზეუმების მონახულებას, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრას და ა.შ. პროგრამა ხორციელდება ზაფხულში რვა ეტაპად.
6. საზაფხულო სკოლა „სფიურქ-2014“

   სომხეთის რესპუბლიკის დიასპორის სამინისტრო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე დიასპორის სომეხ ახალგაზრდებში სომხური ენის შენარჩუნება-შესწავლის მიზნით აწყობს საზაფხულო სკოლას, სადაც ტარდება შემდეგი კურსები:
   - სომხური ენის შემსწავლელი კურსები
   - ხალხური სიმღერისა და ცეკვის ხელოვნების კურსები
   - საგანამანათლებლო კერების ხელმძღვანელების, პედაგოგების გადამზადების კურსები
   - კურსები ჟურნალისტებისათვის
   - ახალგაზრდა ლიდერების კურსები.
7. საერთო სომხური ფესტივალი „ჩემი სომხეთი“ – ფესტივალის მიზანია სომხური კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება დიასპორაში. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შედეგი ღონისძიებები:
   - სომეხ ჟურნალისტთა მე-7 ფორუმი
   - საცეკვო ხელოვნების დღეები
   - საგუნდო ხელოვნების დღეები
   - სომხური დასაკრავი ინსტრუმენტების ფესტივალი;
   - სომხური სიმღერის დღე.
8. სომხეთ-დიასპორის ურთიერთობის შესახებ ტელეგადაცემებისა და ვიდეომასალების მომზადება და გავრცელება
9. საინფორმაციო და სასწავლო ვებ-გვერდების შექმნა და განახლება. პროგრამის ფარგლებში ტარდება შემდეგი ღონისძიებები:
   - მრავალენოვანი ელექტრონული გაზეთის – „სომხეთი დღეს“ გამოცემა
   - სომხური ენის თარგმნის ელექტრონული პროგრამის შექმნა და შევსება;
   - ელექტრონილი ბიბლიოთეკის განახლება
   - ვირტუალური მუზეუმის შევსება (http://armdiasporamuseum.com/).
10. დიასპორული ორგანიზაციების უზრუნველყოფა ეროვნული ატრიბუტიკით, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით.

11. ყოველწლიური კრებულის „სომხური დიასპორა-2013“. 2013 წლის კრებულში შევა წლის განმავლობაში დიასპორის სამინისტროსა და დიასპორული გაერთიანებების მიერ დიასპორაში და სომხეთის რესპუბლიკაში ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, განხორციელებული პროექტები და პროგრამები.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა და დიასპორული ორგანიზაციების წახალისება

სომხურ დიასპორაში ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად დიასპორის მინისტრის ბრძანებით უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებსა და დიასპორულ ორგანიზაციებს წასახალისებლად გადაეცემათ დიასპორის სამინისტროს მედლები, საპატიო და მადლობის სიგელები.

დიასპორის სამინისტროს მედლები

1. ოქროს მედალი
2. უილიამ سაროიანის სახელობის მედალი
3. ნოგოს ნუბარის სახელობის მედალი
4. კომიტას სახელობის მედალი
5. არშილ გორკის სახელობის მედალი
6. „მშობლიური ენის ელჩი“
7. აკოპ მეგაპატის სახელობის მედალი

წყაროები:

1. http://www.mindiaspora.am

უკრაინა
Україна

ზოგადი ინფორმაცია

უკრაინის სუვერენიტეტი

უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 24 აგვისტოს. ამჟამად, უკრაინაში ცხოვრობს 45 მილიონამდე მოსახლე.

უკრაინული დიასპორა

უკრაინულმა დიასპორამ, ძირითადად, ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ემიგრაციის ეს ტალღა გამოწვეული იყო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით.

უკრაინიდან მოსახლეობის გადინების მეორე ტალღა უკავშირდება სსრ კავშირის ტერორს 1930-იან წლებში და ცნობილ მასობრივ შიმშილობას „ჰოლოდომორს“. გადინების მესამე ტალღა გამოიწვია მეორე მსოფლიო ომმა.

რაც შეეხება უკრაინის ემიგრაციის ბოლო ტალღას, იგი მოჰყვა უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას და სსრკ-ის დაშლით წარმომდგარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს.

სახელმწიფო პოლიტიკა დიასპორის თემაზე

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში არსებობს საზღვარგარეთელ უკრაინელობასთან კავშირისა და კულტურულ-ჰუმანიტარული თანამშრომლობის დეპარტამენტი (Департамент зв’язків із закордонним українством та культурно-гуманітарного співробітництва).

გარდა ამისა, უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან შექმნილია საზღვარგარეთელ უკრაინელთა ეროვნული კომისია, რომელშიც შედიან საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების და დიასპორის თემატიკაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

უკრაინის უმაღლესმა რადამ 2004 წლის 4 მარტს მიიღო კანონი „საზღვარგარეთელი უკრაინელების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს უკრაინის პოლიტიკას დიასპორასთან მიმართებით. კანონის თანახმად, უც-

ხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც წარმომავლობით არის უკრაინელი, უდგინდება „საზღვარგარეთელი უკრაინელის“ სტატუსი და გადაეცემა შესაბამისი მოწმობა.

უკრაინის კანონი „საზღვარგარეთელი უკრაინელების შესახებ“

ვინ არის საზღვარგარეთელი უკრაინელი

კანონის თანახმად, საზღვარგარეთელ უკრაინელად ითვლება პირი, თუ იგი არის უცხო სახელმწიფოს მოქალაქე და აქვს უკრაინული ეთნიკური წარმომავლობა ან/და არის წარმოშობით უკრაინიდან. თავის მხრივ, უკრაინული ეთნიკური წარმომავლობა განმარტებულია როგორც პირის მიერ უკრაინული ეთნოსისადმი კუთვნილების აღიარება.

საიმისოდ, რომ პირს მიენიჭოს საზღვარგარეთელი უკრაინელის სტატუსი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ჰქონდეს უკრაინული თვითიდენტიფიკაცია;
- ჰქონდეს უკრაინული წარმომავლობა ან/და წარმომავლობა უკრაინიდან;
- წარადგინოს წერილობითი განცხადება სტატუსის მოსაპოვებლად;
- მიღწეულ უნდა იყოს 16 წლის ასაკს;
- არ უნდა ჰქონდეს უკრაინის მოქალაქეობა.

საზღვარგარეთელი უკრაინელის სტატუსის მისანიჭებლად განცხადებას იხილავს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო და უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან არსებული საზღვარგარეთელ უკრაინელთა ეროვნული კომისია.

კანონით მინიჭებული პრივილეგიები

კანონის თანახმად, საზღვარგარეთელ უკრაინელს უფლება აქვს:

- უკრაინელი მოქალაქეების თანაბარუფლებიანად იმუშაოს უკრაინაში, კერძო სექტორში;
- მთავრობის მიერ დადგენილი კვოტების გათვალისწინებით, ჩააბაროს უკრაინის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში;
- გამარტივებულ წესით მიიღოს უკრაინის მოქალაქეობა;
- დაცული იყოს უკრაინის სახელმწიფოს მიერ როგორც უკრაინული წარმომავლობის პირი;
- შეისწავლოს უკრაინული ენა და კულტურა სახელმწიფოს ხელშეწყობით.

დიასპორული ორგანიზაციები

დიასპორის რიცხოვნობა

უკრაინის საზღვრებს გარეთ – მსოფლიოში 20 მილიონამდე უკრაინული წარმომავლობის პირი ცხოვრობს.

ისინი გაერთიანებული არიან დიასპორულ-ორგანიზაციებში, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანდება სხვადასხვა რეგიონულ საკოორდინაციო საბჭოში.

უკრაინელთა მსოფლიო ფორუმი

უკრაინის მსოფლიო საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით 4 წელიწადში ერთხელ

იმართება უკრაინელთა მსოფლიო ფორუმი, რომელიც არის უკრაინული დიასპორული ორგანიზაციების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. ფორუმი ბოლოს მოწვეულ იქნა 2012 წელს.

პროფესიული და რეგიონული გაერთიანებები

უკრაინული დიასპორული ორგანიზაციები ერთიანდება პროფესიული და რეგიონული ნიშნითაც. არსებობს სრულიად უკრაინელ იურისტთა გაერთიანება, ევროპის უკრაინელთა გაერთიანება და სხვა. მსგავსი გაერთიანებების და მასში შემავალი ორგანიზაციების სტატუსი განსაზღვრულია შესაბამისი წესდებით.

წყაროები:

1. http://www.kmu.gov.ua/control/uk
2. http://www.ukrainianworldcongress.org/
3. http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/1582-15
4. http://mfa.gov.ua/ua/about-mfa/structure/staff

ფინეთის რესპუბლიკა
Suomen tasavalta

ზოგადი ინფორმაცია

ფინეთის რესპუბლიკა

ფინეთის რესპუბლიკა შეიქმნა 1918 წლის 4 იანვარს. ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკის სახელმწიფო წყობისაა, მოსახლეობა კი 5.47 მილიონს შეადგენს.

ფინური დიასპორა

ფინეთის სახელმწიფო სტრუქტურების მონაცემებით, ამჟამად ქვეყნის გარეთ ცხოვრობს ფინეთის 300 000-ამდე მოქალაქე. უცხოეთში დაბადებული მეორე და მესამე თაობის ფინელთა საერთო რიცხვი 600 000-ს აღწევს. 250 000 ფინელს შენარჩუნებული აქვს ხმის მიცემის უფლება. ფინეთში მოქმედებს ორმაგი მოქალაქეობის კანონი, რომელიც ნებას რთავს ფინელს, შეინარჩუნოს ფინეთის მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაშიც.

ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტი

დიასპორასთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნების, ფინური თემების გაერთიანების და მათი ინტერესების წარმოსაჩენად, 1997 წელს შეიქმნა ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტი. პარლამენტი არასახელმწიფო სტრუქტურაა და აერთიანებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ფინელთა ყველა ორგანიზაციას. დღეს მსოფლიოს მასშტაბით ფთპ-ის რიგებში გაწევრიანებულია 37 ქვეყნის 521 დიასპორული ორგანიზაცია.

პარლამენტის დაკომპლექტება

ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტში (ფთპ) დიასპორის წარმომადგენლები აირჩევა დიასპორული ორგანიზაციებიდან. თითოეულ ორგანიზაციას უფლება აქვს გააგზავნოს ერთი წარმომადგენელი პარლამენტში. თუ ორგანიზაციაში 500-ზე მეტი წევრია, შეიძლება ორი წარმომადგენლის გაგზავნა, ხოლო ათასზე მეტი წევრის მქონე ორგანიზაციას შეუძლია სამი წარმომადგენლის გაგზავნა. საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი იღებს.

ფინეთის თანამემამულეთა საზოგადოებას ასევე აქვს უფლება, გააგზავნოს დამკვირვებლები ფთპ-ის სესიებზე. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პლენარულ სხდომებ-

ზე და საკომიტეტო სამუშაოებზე, თუმცა არ აქვთ რეპლიკის და ხმის მიცემის უფლება.

პარლამენტი ირჩევს სპიკერთა საბჭოს, სადაც შედიან პარლამენტის სპიკერი და სპიკერის მოადგილეები რეგიონული პრინციპით.

საპარლამენტო მდივანი მოქმედებს, როგორც სასესიო მდივანი, ხოლო ფინეთის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი სპიკერს ეხმარება სხდომის განმავლობაში.

ფთპ-ს წევრი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინიციატივები ნაწილდება შინაარსის მიხედვით და გადაეცემა სხვადასხვა კომიტეტს შემდგომი განხილვისთვის.

საპარლამენტო წარმომადგენელს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის სასესიო სამუშაოებში, კონკრეტულად, პლენარულ სესიებზე და საკომიტეტო სამუშაოებში.

ინიციატივის განხილვის შედეგად სამომავლო რეზოლუციასთან დაკავშირებული წინადადებები პლენარული სესიის გახსნამდე ერთი დღით ადრე განსახილველად ეგზავნება პარლამენტის ყველა წევრს.

მას შემდეგ, რაც განხილული წინადადებები წარდგება სესიაზე, ყველა წარმომადგენელს აქვს უფლება, კომენტარი გააკეთოს სარეზოლუციო ინიციატივებზე. ინიციატივაზე კომენტარის გასაკეთებლად წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სპიკერს წერილობითი ფორმით სესიის დაწყებამდე ან მისი მსვლელობის დროს. იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივასთან დაკვაშირებით არავის ექნება განსხვავებული აზრი, მაშინ სპიკერი ინიციატივას მიღებულად გამოაცხადებს. მაგრამ, თუ სარეზოლუციო ინიციატივასთან დაკავშირებით გამოთქმულია ორი ან მეტი ალტერნატიული გადაწყვეტილება, მაშინ ინიციატივას კენჭს უყრიან.

ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტის სტრუქტურა

ფინური დიასპორული ორგანიზაციები, რომელთა ქმედებებიც რეგულირდება ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტის (ფთპ-ს) კანონქვემდებარე წესებით, წარადგენენ ინიციატივებს საპარლამენტო სესიებზე. ინიციატივები შესაძლებელია შეიცავდეს ცვლილებებს ან გაუმჯობესებებს ან ნებისმიერ საკითხს, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინეთის დიასპორისთვის.

ინიციატივები განიხილება კომიტეტების მიერ; შემდეგ პლენარულ სხდომაზე ინიციატივა ან მტკიცდება, ან უარიყოფა, ან იცვლება. თუ ინიციატივა პარლამენტმა მიიღო, მაშინ მას ენიჭება რეზოლუციის სტატუსი. საბჭოს სპიკერების მოვალეობაა, სამდივნოსთან ერთად ხელი შეუწყონ რეზოლუციისათვის სავალდებულო ძალის მინიჭებას, რის საფუძველზეც ცდილობენ დაარწმუნონ ფინეთის ხელისუფლება, რომ რეზოლუციის მიღება აუცილებელია.

რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო სესიებზე მუშაობს ათი კომიტეტი. ეს კომიტეტები ამზადებენ რეზოლუციისთვის საჭირო შუამდგომლობებს, რომლებიც წარდგენილია და დამუშავებული პლენარული სესიისათვის. კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ფთპ-ის გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით დაყოფილი წარმომადგენლების ჩართულობა.



სპიკერთა რეგიონული დაყოფა

სესიებს შორის საბჭოს სპიკერები აქტიურად იცავენ და აღრმავებენ ფინეთის დიასპორის ინტერესებს უცხოეთში. საბჭო წელიწადში ორჯერ იკრიბება ქ. ჰელსინკში.

სპიკერები იყოფიან შემდეგი რეგიონული პრინციპით:

- ავსტრალია, აზია
- აღმოსავლეთი ევროპა
- ცენტრალური ევროპა
- ჩრდილოეთი ევროპა
- კანადა
- ა.შ.შ. და სამხრეთი ამერიკა
- სამხრეთი ევროპა, შუა აზია, აფრიკა
- შვედი ფინელები მსოფლიოს გარშემო

თანამემამულეთა პარლამენტის კომიტეტები

ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტის შეკრებისას წარმომადგენლები ატარებენ სესიებს და მონაწილეობას იღებენ კომიტეტების სამუშაოებში. წევრი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი დადგენილებების პროექტების საფუძველზე სამდივნოს მიერ წინასწარ განიხილება წინადადებები და სავარაუდო რეზოლუციები სხვადასხვა კომიტეტისთვის. ზემოხსენებულ წინადადებებს შემდეგ წარადგენენ მთავარ სესიაზე, სადაც მათ მოიწონებენ, უარყოფენ ან შეცვლიან.

პარლამენტში არის შემდეგი კომიტეტები:

- ეროვნების
- კულტურის

- ახალგაზრდობის
- განათლების და ტრენინგის
- სოციალური
- ხნიერთა
- წესების
- საფინანსო-საბიუჯეტო
- ეკონომიკის და ინფორმაციის
- პოლიტიკის და ოფიციალური საკითხების

საჭიროების შემთხვევაში იქმნება სხვა კომიტეტებიც.

კომიტეტებში უზრუნველყოფილია სხვადასხვა რეგიონული წარმომადგენლობა.

სხდომების მოწვევა და საკითხების წარდგენა

პარლამენტი მოიწვევა ყოველ მეორე ან მესამე წელს. ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება გაფართოებული სხდომა, რომელიც ემთხვევა ფინეთის ეროვნული დღესასწაულის დღეებს.

საკითხის წარდგენის უფლება აქვს ყველა ფინურ დიასპორას.

სამუშაო ენები

პარლამენტის სამუშაო ენებია: ფინური, შვედური, ინგლისური და რუსული.

საპარლამენტო საქმიანობის მიმართულებები

ორმაგი მოქალაქეობა

თანამემამულეთა პარლამენტის ინიციატივით 2003 წელს მიღებულ იქნა ფინეთის კანონი „მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც ნებას რთავს ფინელს, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში დაიბრუნოს ფინეთის მოქალაქეობა. კანონის თანახმად, ფინეთის ყოფილ მოქალაქეს და მის არასრულწლოვან შვილს შეუძლიათ დაიბრუნონ ფინეთის მოქალაქეობა, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა. რაც შეეხება ყოფილი ფინელის სრულწლოვან შვილს და შვილიშვილს, მათ მხოლოდ მაშინ მიეცემათ ფინეთის მოქალაქეობა, თუ ფინეთში დაბრუნდებიან.

ხმის მიცემა ფოსტით

იმის მიუხედავად, რომ ფინეთის ხელისუფლება ცდილობს, ბევრგან გახსნას საარჩევნო უბნები საზღვარგარეთ, თანამემამულეთა პარლამენტმა წამოაყენა წინადადება ფოსტით ხმის მიცემის შესახებ. საერთო ჯამში, საზღვარგარეთიდან ხმას აძლევს ფინელ ამომრჩეველთა 10%

უცხოეთში მცხოვრები ფინელი თანამემამულე პენსიონერების დაბეგვრა

2006 წელს უცხოეთში მცხოვრები ფინელი თანამემამულე პენსიონერების დაბეგვრის წესი შეიცვალა ევროკავშირის თანასწორობის პრინციპის და (ფთპ-ის) მოთხოვნით; ამის შემდეგ ფინეთის საზღვრებს შიგნით თუ გარეთ პენსია ერთიანი წესით იბეგრება, რაც ნიშნავს იმას, რომ უცხოეთში მცხოვრები პენსიონერი ფინელისთვის პენსიის გადახდა საგრძნობლად გამარტივდა. თუ ადრე უცხოეთში მცხოვრებ პენსიონერ ფინელთა დაბეგვრა რეგულირდებოდა მიმღებ ქვეყანასთან სპეციალური რეგულაციით, ახლა იგი აღარ საჭიროებს სპეციალურ

შეთანხმებას და რეგულირდება შეცვლილი წესით.

თუმცა ფთპ აგრძელებს დაკვირვებას ნეგატიური შედეგების გამოსავლენად და სამომავლოდ მათ აღმოსაფხვრელად.

ფინური და შვედური ენების საკვირაო სკოლები

რამდენადაც ფინეთს ორი სახელმწიფო ენა აქვს, ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტის მთავარი საზრუნავია ფინური და შვედური საკვირაო სკოლები საზღვარგარეთ.

ხნიერი ემიგრანტები

პარლამენტი შეიმუშავებს და წარადგენს წინადადებებს ხნიერი ემიგრანტების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უცხოეთში.

ფინური რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობა საზღვარგარეთ

მას შემდეგ, რაც ფინეთის რადიომ შეწყვიტა საზღვარგარეთ მაუწყებლობა, ფინეთის თანამემამულეთა პარლამენტი ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია, უცხოეთში მცხოვრებ ფინელებს მიაწოდოს რადიო და სატელევიზიო გადაცემა.

ბოლო 2012 წლის სესიაზე განხილული საკითხები

1. ფინეთის საპატიო კონსულების ჩართვა დიასპორის საკითხებში
2. საგარეო საქმეთა სამინისტროში ფინელ თანამემამულეთა სახელმწიფო მდივნის პოსტის შემოღების შეთავაზება
3. ხმის მიცემა ფოსტით
4. ცალკე საარჩევნო უბნების შექმნა საზღვარგარეთ
5. ფინური პასპორტის მოქმედების ვადის გახანგრძლივება
6. პენსიონერთა საბუთების საკითხი
7. სრული საპენსიო უზრუნველყოფის შეთავაზება უცხოეთში მცხოვრებ ფინელთათვის
8. ამერიკაში ფინელი პასტორების დახმარება
9. ტერმინ „უცხოეთში მცხოვრების“ განსაზღვრება
10. უცხოეთში სასწავლად წასული ფინელი სტუდენტების სამუშაო ხელშეწყობა ფინეთში
11. ფინეთის საგანმანათლებლო გამოცდების ორგანიზება საზღვარგარეთ
12. ფინური კერძო სკოლების დახმარება საზღვარგარეთ
13. ფინეთის დიასპორის დღის დაწესება
14. დიასპორის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის პრიზის დაწესება
15. თანამემამულეთა ერთიანი ბაზის შექმნა

პროექტები უცხოეთში მცხოვრებ ფინელთათვის

ემიგრანტთა რეგისტრაცია

ფინეთის რესპუბლიკაში მოქმედებს ემიგრანტთა სპეციალური ბაზა, რომელსაც აწარმოებს ფინეთის მიგრაციის ინსტიტუტი. ვებ-გვერდზე რეგისტრაცია ორგვარია:

შეზღუდული (უფასო) და სრული (ფასიანი – 20 ევრო): http://maine.utu.fi/emreg/index_e.php

ინსტიტუტის ფარგლებში შესაძლებელია უცხოეთში მცხოვრები ფინელის გენეალოგიის გამოკვლევა, რომლის ღირებულება 60 ევროა.

უცხოეთში დაბადებული ფინელის რეგისტრაცია

თანამემამულეთა აღსარიცხად არსებობს „უცხოეთში დაბადებული ფინელის რეგისტრაციის“ ორგვერდიანი ფორმა, რომელიც ეგზავნება ფინეთის სამთავრობო სტრუქტურებს.

რემიგრაცია

რემიგრაცია ეწოდება ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის სპეციალურ პროექტს, რომლის მიზანია უცხოეთიდან დაბრუნებული ფინელების რეინტეგრაცია. რემიგრაციის პროექტის ფარგლებში ფინური წარმომავლობის პირს მიეცემა ფინეთში ცხოვრების ნებართვა დამატებითი მოთხოვნების გარეშე. ფინეთში მუშაობის უფლება შეუზღუდავად ეძლევა უცხოეთიდან დაბრუნებულ ფინელებს.

წყაროები

1. http://valtioneuvosto.fi/en/frontpage
2. http://www.usp.fi/index.php?lang=uk
3. http://maine.utu.fi/emreg/index_e.php

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა
中华人民共和国

ზოგადი ინფორმაცია

ჩინური სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ისტორია 40 საუკუნეს ითვლის. ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე (პეკინი, ტიანძინი, შანხაი და ჩუნცინი) და ორი მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონზე (ჰონგ-კონგი და მაკაო).

ჩინეთი ცნობილია როგორც მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა 1.3 მილიარდზე მეტი მოსახლეობით. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველობას ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია.

ჩინეთის ისტორია, უძველესი ხელნაწერების მიხედვით, დაახლოებით 3500 წლის წინ დაიწყო. ეს არის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი იმ ცივილიზაციათაგანი, რომელიც დღესაც კი არსებობს და განაგრძობს განვითარებას. კუს ბაკანზე ნაპოვნი ხელნაწერები, რომლებიც გვაგონებს ძველ ჩინურ დამწერლობას, თარიღდება ძვ.წ. 1500 წლით. ამ ჩანაწერების მიხედვით ჩინური ცივილიზაცია დაიწყო დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბებით.

ცნობილია, რომ ჩინეთი ერთ დიდ სამეფოდ – იმპერიად – დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა. წარმატებულმა დინასტიებმა ჩამოაყალიბეს ბიუროკრატიული კონტროლის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევდა იმპერატორს, ემართა გეოგრაფიულად საკმაოდ დიდი ტერიტორია. ის, რასაც დღეს ჩინეთის ცივილიზაციას უწოდებენ, დაიწყო იმპერატორი ცინ შიჰუანდის მიერ, დამწერლობის სისტემის იძულებითი დადგენისა (ძვ. წ. 200 წელს) და კონფუციანიზმზე დამყარებული სახელმწიფო იდეოლოგიის (ძვ. წ. 100 წელს) საფუძველზე.

ჩინეთის დიასპორა

ჩინელ ხალხს აქვს საზღვარგარეთ მიგრაციის დიდი ისტორია. მე-19 საუკუნეში, კოლონიზაციის ეპოქაში დაიწყო ჩინელი მოსახლე-

ობის ყველაზე მასიური გადინება და შედეგად შეიქმნა დიდი ჩინური დიასპორები. მე-19 საუკუნიდან მოხდა მნიშვნელოვანი მიგრაცია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ბრაზილია, პერუ და, ასევე, დასავლეთი ევროპის ქვეყნები.

ბევრი ჩინელი ემიგრანტი დასახლდა დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით, 1950 და 1980 წლებში, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საკუთარი მოქალაქეების მიმოსვლა საკმაოდ შეზღუდული იყო. 1984 წელს, როდესაც ბრიტანეთი დათანხმდა, რომ ჰონ-კონგი დაებრუნებინა ჩინეთისთვის, დიდი მიგრაციის ტალღა დაიძრა დიდი ბრიტანეთის (ძირითადად, ინგლისის), ავსტრალიისა და კანადისაკენ.

ამჟამად დაახლოებით 40 მილიონი ჩინელი ემიგრანტი ცხოვრობს ქვეყნის საზღვრების გარეთ. ყველაზე მეტად დასახლებულნი არიან სამხრეთ აზიაში, მაგალითად, სინგაპურში ისინი შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, ხოლო მნიშვნელოვან უმცირესობას – ტაილანდში, მალაიზიაში, ინდონეზიაში, ბრუნეიში, ფილიპინებსა და ვიეტნამში.

საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების საქმეთა კომიტეტი[1]

საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების საქმეთა კომიტეტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ადმინისტრაციული ოფისია, რომელიც პასუხისმგებელია ითანამშრომლოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩინელებთან და სამშობლოში დაბრუნებულ დიასპორასთან.

ამ ოფისის წინამორბედი კომიტეტი დაარსდა 1949 წელს ლიაო ზონგკაის მეუღლის მიერ; სწორედ ის ხელმძღვანელობდა კომიტეტს 1949 წლის ოქტომბრიდან 1959 წლის აპრილამდე. შემდგომ მისი ადგილი დაიკავა მისმა შვილმა ლიაო ჩენგზჰმა, რომელიც ხელმძღვანელობდა კომიტეტს 1970 წლამდე – ოფისის გაუქმებამდე.

1978 წელს კომიტეტი ისევ განახლდა და მას სათავეში კვლავ ლიაო ჩენგზჰი ჩაუდგა. საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების საქმეთა კომიტეტის მთავარი მიზანია საგანმანათლებო, კულტურული, ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლა საზღვარგარეთ მყოფ დიასპორასთან.

[1] http://qwb.sh.gov.cn/shqb/english/brief/userobject1ai1249.html

საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელი ემიგრანტები მთლიანი რაოდენობა

40 000 000 (დაახლოებით)[2]

ჩინული დიასპორით გამორჩეული რეგიონები

სინგაპური	3 496 710
ინდონეზია	7 566 200
ტაილანდი	7 153 240
მალაიზია	7 070 500
ამერიკის შეერთებული შტატები	3 376 031
კანადა	1 612 173
პერუ	1 300 000
ვიეტნამი	1 263 570
ფილიპინები	1 146 250
მაინმარი	1 101 314
რუსეთის ფედერაცია	998 000
ავსტრალია	669 896
იაპონია	519 561
დიდი ბრიტანეთი	347 000
კამბოჯა	342 855
საფრანგეთი	230 515
ინდოეთი	189 470
ლაოსი	185 765
ბრაზილია	151 649
ახალი ზელანდია	147 570

დიასპორის როლი ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთი გამოირჩევა ყოველდღიურად მზარდი ეკონომიკით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ჩინეთის ეკონომიკა იმაზე სწრაფად იზრდება, ვიდრე ეს წარმოსადგენი იყო. 2013 წელს აკეთებდნენ პროგნოზს, რომ ჩინეთის ეკონომიკური განვითარება შენელდებოდა და ვერ მიაღწევდა 7,5 პროცენტს, თუმცა ჩინეთმა მაინც მოახერხა ყველას გაოცება და 2013 წლისთვის წარმოების, ინვესტიციებისა და საცალო გაყიდვების ციფრიც კი გაზარდა.

[2] http://en.wikipedia.org/wiki/Overseas_Chinese

1978 წელს ჩინეთმა აქტიურად დაიწყო ეკონომიკური პროგრესისთვის რეფორმების გატარება. ხელი შეუწყო სასოფლო საწარმოებისა და კერძო ბიზნესის შექმნას, გამოყო თანხები სამრეწველო საწარმოებისა და საკუთარი თანამშრომლების განათლებისათვის, გარდა ამისა, მოახდინა საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების ლიბერალიზაცია.

ფაქტია, ჩინეთის ხელისუფლების მიერ არჩეულმა სტრატეგიამ გაამართლა. 1978 წლამდე ყოველწლიური ეკონომიკური ზრდა 6 პროცენტს აღწევდა, ხოლო 1978 წლის შემდეგ 9 პროცენტს აღემატებოდა. შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ოთხჯერ გაიზარდა 15 წლის განმავლობაში, ხოლო ამ ეკონომიკური „ბუმის“ მიზეზად დასახელდა არამარტო ქვეყნის კაპიტალის ზრდა, არამედ – საზღვაგარეთ მცხოვრები ჩინელი დიასპორების ძალისხმევაც.

21-ე საუკუნის გლობალური ეკონომიკური ძალა

ის, რომ ჩინეთი იქცა 21-ე საუკუნის გლობალურ ეკონომიკურ ძალად, გამოიწვია ურთიერთობების და აქცენტების შეცვლამ. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე კერძო ბიზნესის სწრაფი განვითარება განპირობებული იყო იმით, რომ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უცხო ქვეყნებში მცხოვრები და გამოცდილი ჩინურის დიასპორის წარმომადგელები. ჩინეთის მთავრობამ ეტაპობრივად შეამცირა თავისი ეკონომიკის დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებზე და ფოკუსირება მოახდინა დიასპორულ ინვესტიციებზე, გააძლიერა ე.წ. „ბამბუკის ქსელის“ – ჩინეთში ერთ-ერთი უმთავრესი ინვესტორი ორგანიზაციის – როლი.

1980-იანი წლების ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების შემდეგ ჩინეთის დიასპორელმა მეწარმეებმა დაიწყეს ბიზნეს-კავშირების განვითარება მთელს ჩინეთში. დიასპორული ბიზნეს-ორგანიცაზიის „ბამბუკის ქსელის“ წევრებმა განახორციელეს დიდი ინვესტიციები ჩინეთში, რაც, უმეტესწილად, განპირობებული იყო ენობრივი და კულტურული მონათესაობით.

„ბამბუკის ქსელი“ დაარსდა 1940 წლის არეულობის შემდეგ მიგრაციაში წასული ჩინელების მიერ. ბევრმა ჩინელმა დატოვა საკუთარი სახლი და გაემგზავრა სხვა ქვეყნებში, სადაც თავდაუზოგავად მუშობდნენ და ფულს აგროვებდნენ. შემდეგ დაიწყეს მცირე ბიზნესები. ასეთი მცირე საოჯახო ბიზნესების უმრავლესობა დღეს უმსხვილეს და ძლიერ კომპანიებად გვევლინება. ისინი გახდნენ რეგიონში ძირითადი ეკონომიკური მოთამაშეები და მათი ბიზნესები გავრცელდა მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მისი ფარგლების გარეთაც. „ბამბუკის ქსელის“ დიასპორული ბიზნესის წარმომადგენლებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიაღწიონ ხელისუფლებასთან შეთანხმებებს შეზღუდვებთან და რეგულაციებთან დაკავშირებით. მათ შეუძლიათ მიმართონ საკუთარი ფინანსები და ადამიანური რესურსი ერთი ქვეყნიდან მეორეში.

მას შემდეგ, რაც 1978 წლიდან ჩინეთის ლიდერმა დენ შაოპინმა (Deng Xiaoping) ქვეყნაში განახორციელა ეკონომიკური ღია კარის პოლიტიკა, ჩინეთში კერძო ბიზნესმა

დაიწყო ძალიან სწრაფი ტემპით ზრდა. ამ პერიოდში ჩინეთში განხორციელებული ინვესტიციების 80%-ს შეადგენდა სწორედ დიასპორული ინვესტიციები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინურ ბაზარზე შესულმა დასავლურმა კომპანიებმა (კოკა-კოლა, მოტოროლა, კრაისლერი...) ბიზნესი დაიწყეს ჩინეთის დიასპორის „ბამბუკის ქსელის“ წევრებთან ბიზნეს-პარტნიორობით.

“ბამბუკის ქსელის“ შესახებ ინფორმაციის მიღება საკმაოდ ძნელია. მათი საქმიანობა, ძირითადად, შუამავლებით ხორციელდება. ბიზნესის მფლობელები თანამშრომლობენ მხოლოდ მაღალჩინოსან პოლიტიკოსებთან და აქვთ მოლაპარაკების კარგი უნარი.

უდავოა ის ფაქტი, რომ ეთნიკურად ჩინელ ბიზნეს-პარტნიორებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ უცხოელებს ჩინეთის ბაზარში შესვლასა და წარმოების განვითარებაში.

ჩინური დიასპორის „ბამბუკის ქსელი“[3]

“ბამბუკის ქსელი“ არის ჩინური დიასპორის ბიზნეს-კავშირი სამხრეთ აზიაში, რომლის წარმოშობის თარიღად მიიჩნევა მე-16 საუკუნე. ქსელი, უმეტესად, წარმოდგენილია მცირე და ოჯახური ბიზნეს-კომპანიებით და მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩინეთის ეკონომიკასთან.

“ბამბუკის ქსელის“ მეშვეობით, ჩინური დიასპორული ბიზნესები სამხრეთ აზიაში წარმოდგენილია როგორც საოჯახო ბიზნესები, რომელიც იმართება ცენტრალიზებული ბიუროკრატიით. ეს ფირმები, როგორც წესი, წარმოადგენს საშუალო ზომის კორპორაციებს. ვაჭრობას და ფინანსებს ხელმძღვანელობენ ოჯახები და უპირატესობას ანიჭებენ პირად ურთიერთობებს.

აღნიშნული ოჯახური ურთიერთობები გავრცელებულია მთელ სამხრეთ აზიაში, სადაც ჩინელი მეწარმეები, ბიზნეს-აღმსრულებლები, ვაჭრები და ფინანსისტები საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში.

ჩინური დიასპორული ბიზნესის მფლობელების უმეტესობამ ბიზნეს-საქმიანობა დაიწყო მცირე ქონებით. თითქმის ნულიდან აააშენეს საოჯახო საწარმოები, დააგროვეს თანხა და განახორციელეს თანაინვესტიციები სამშობლოში.

საინტერესო ისტორიები არსებობს ჩინელი ემიგრანტების შესახებ, რომლებიც დასახლდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთ-ერთი ჩინელი ემიგრანტი სტუდენტი ჰყვება რომ, როდესაც მისი ბაბუა პირველად ჩავიდა ამერიკაში, მან მუშაობა სამრეცხაოში დაიწყო, სადაც აუთოებდა პერანგებს. რამდენიმე წლის მანძილზე მან დააგროვა 50 ათასი დოლარი და დაბრუნდა ჰონგ-კონგში, სადაც ინვესტიცია ჩადო ბრინჯის ბიზნესში, ამჟამად კი მისი კომპანია ერთ-ერთი უდიდესია მთელს აზიასა და ავსტრალიაში.

დაახლოებით 55 მილიონი ჩინელი დიასპორელი აწარმოებს იმდენს, რამდენსაც ერთი საშუალო დონის რომელიმე სახელმწიფო. მათი წარმოება უკვე 600 მილიარდ დოლარს მიუახლოვდა. ჩინური დიასპორული ბიზნესების კაპიტალის ძირითადი წყაროე-

[3] წიგნი – The Bamboo network – Murray Weidenbaum, Samuel Hughes

ბი მოდის სინგაპურიდან, ტაილანდიდან, მალაიზიიდან, ინდონეზიიდან, ფილიპინებიდან და ვიეტნამიდან.

"ბამბუკის ქსელის" წევრების მიღწევები, მართლაც რომ, შთამბეჭდავია. ინდონეზიაში ჩინური დიასპორული მეწარმის ლიმ სიო ლონგის წილი მთლიანად რეგიონის ეკონომიკაში 5%-ს შეადგენს, ხოლო ტაილანდში ეთნიკურად ჩინელები ფლობენ 4 უდიდეს კერძო ბანკს.

"ბამბუკის ქსელის" ჩინური დიასპორის საოჯახო ბიზნესის მაგალითი

საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ჩინური დიასპორის წარმომადგენლის ვანგების ოჯახის ბიზნესი (Formosa Plastics Group headed by Y.C. Wang). მილიარდელმა ბატონმა ვანგმა საკუთარ ოჯახს შეუნარჩუნა ბიზნესი. მისი ათივე შვილი საერთაშორისო მაღალი დონის განათლების მიღების შემდეგ აღმასრულებელ დირექტორებად დაინიშნენ მის კომპანიებში.

ოჯახის წევრებიდან ი. ვანგი Formosa Chemicals and Fibre, William Wang-ის პრეზიდენტია. ვანგის ქალიშვილი შეარ ვანგი ევერექს სისტემების პრეზიდენტია, შეარ ვანგმა 1997 წელს დააფუძნა კომპანია HTC, 2014 წლის ფორბსის მონაცემებით, იგი არის მსოფლიოში 54-ე ყველაზე მაღალშემოსავლიანი ქალბატონი 8.8 მილიარდი დოლარის ოდენობით. ვანგის ვაჟი – ვინსტონ ვანგი Nan Ya Plastics-ის ვიცე-პრეზიდენტია. ეს კომპანია აწარმოებს მსოფლიოში ყველაზე დიდ ელექტროდაფებსა და სხვა ელექტრო კომპონენტებს. ქალიშვილი შარლინ ვანგი და მისი მეუღლე First International Computer-ის პრეზიდეტები არიან; დედაპლატების წარმოებით ეს კომპანია მსოფლიოში უმსხვილესია. იგი აწარმოებს პერსონალურ კომპიუტერებსაც.

ეთნიკურად ჩინელი ინვესტორების უმრავლესობას, რომლებიც წასულები არიან საკუთარი ქვეყნიდან, ამჟამად მჭიდრო კავშირი აქვს სამშობლოსთან. ბევრი დიასპორით გამორჩეული ქვეყნისთვის „ბამბუკის ქსელი" არის დიასპორელ მეწარმეებთან თანამშრომლობის წარმატების ფორმულა.

"ბამბუკის ქსელის" სამეწარმეო ლიდერებმა, რომლებმაც კომუნიზმის შემოსვლის შემდეგ დატოვეს ჩინეთი, ფართო ბიზნეს-იმპერია მთელ სამხრეთ აზიაში ააშენეს. ენისა და კულტურის ძლიერი კავშირების წყალობით, აღნიშნული მეწარმეები განიხილებიან როგორც ყველაზე სასურველი პარტნიორები ჩინეთის ბიზნეს-სამყაროში.

ფულადი გზავნილების პროფილი: ჩინეთი

ჩინეთში ფულადმა გზავნილებმა 2011 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით შეადგინა 57 მილიარდი აშშ დოლარი[4].

ფორმალური ფულადი გზავნილების სტატისტიკა



[4] MPI – Migration Policy Institute

ჩინეთი 2011 წლისთვის არის სიდიდით მეორე ფულადი გზავნილების მიმღები ქვეყანა მსოფლიოში.

ფულადი გზავნილების პირველი ათი მიმღები ქვეყანა (2011 წელი)

ერთეული $ მილიარდი



წყარო: მსოფლიო ბანკი



ჩინეთის შიდა და გარე მიგრაციის რუკა[5]



აღნიშნული რუკა დეტალურად აღწერს ჩინეთის უაღრესად მრავალფეროვან საერთაშორისო და შიდა რეგიონულ მიგრაციას.

მონაცემები აღწერილია საკმაოდ მარტივი ფორმით, შემდეგი სქემის მიხედვით:

- შიდა მიგრაციის რეგიონები მონიშნულია წითელი ფერით.
- გარე მიგრაციის რეგიონები მონიშნულია ლურჯი ფერით.
- მიგრაციის პროცეტენტული რაოდენობა ფერის სიმკვეთრით გამოიხატება.
- მუქი წითელი ან მუქი ლურჯი მიუთითებს აღნიშნულ პრეფექტურაში უფრო დიდი მიგრაციის განაკვეთს.
- რუქაზე გამოკვეთილია მიგრაციით გამორჩეული სამი ძირითადი ქალაქი: პეკინი, შანჰაი და გუანძოუ.

[5] http://matthartzell.blogspot.com/2013/09/chinese-domestic-migration-map.html

ჩინური დიასპორის მახასიათებელი[6]

"ჩინური ქალაქი"

„ჩინური ქალაქი" არის პატარა ქალაქი დიდ ქალაქში. იგი, ძირითადად, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელი ემიგრანტებით არის დასახლებული. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ბევრ დიდ ქალაქში შეხვდებით ჩინურ ქალაქებს, მაგალითად, ნიუ-იორკში, ლონდონში, სან-ფრანცისკოში და ასე შემდეგ. ამ ტერიტორიაზე ჭარბობს ჩინური მაღაზიები, რესტორნები და მომსახურების სერვისები, რაც ტურისტებს აძლევს საშუალებას, ადგილზე გაეცნონ ჩინურ კულტურას.

მახასიათებლები

ჩინური ქალაქების უმეტესობა შედგება ახალი ემიგრანტებისაგან, თუმცა იქ ცხოვრობენ ძველი ბინადრებიც, რომელთა რამდენიმე თაობა ემიგრაციაში ცხოვრობს. ახალი ემიგრანტებისთვის ეს ტერიტორიები ძალზედ მიმზიდველია, რადგან აქ ისინი ხვდებიან ადამიანებს, რომლებიც საუბრობენ მათ ენაზე და შეიძლება შეხვდნენ ახლო ნათესავებსაც კი. როგორც კი ისინი მოიპოვებენ ფინანსურ თავისუფლებას და გაეცნობიან მიმდებარე ქალაქებს, სახლდებიან იქ ან მეტი კომფორტისთვის რჩებიან ჩინურ ქალაქში ახლო მეგობრების სიახლოვეს. ზოგიერთ ჩინელს ურჩევნია იცხოვროს თავის ეროვნების ადამიანების სიახლოვეს, რათა შეინარჩუნოს ენა და კულტურა. გარდა ამისა, ჩინურ ქალაქში ცხოვრებით მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია რელიგიური მომსახურეობა, საკვები და სხვა მნიშვნელოვანი საჭიროებანი.

ისტორია

ისტორიულად, ჩინური ქალაქები შექმნილია ჩინელი ემიგრანტების მიერ. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინური ქალაქების უმრავლესობა აშენებულია მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც დაიწყო სამსახურის მაძიებელი ჩინელების მასიური ემიგრაცია აშშ-ში. ჩინური გემების უმრავლესობა ესტუმრა კალიფორნიის სანაპიროებს და ემიგრანტების უმრავლესობა ამ ტერიტორიაზე დასახლდა.

ტურიზმი

ჩინური ქალაქები ტურისტებისთვის საკმაოდ პოპულარული ადგილია სადაც, ზოგადად, შეიძლება შთაბეჭდილება შეიქმნან, თუ როგორ ცხოვრობს ჩინელი ხალხი, დააგემოვნონ ჩინური ტრადიციული სამზარეულო, შეიძინონ ჩინური ხელოვნების ნიმუშები და ასე შემდეგ. ჩინურ ქალაქში ხშირია კულტურული ღონისძიებები, მათ შორის – მთვარის ახალი წლის აღლუმი. დიდი ქალაქებში ცდილობენ ჩინური ქალაქის პოპულარიზაციას, რათა მოიზიდონ ტურისტები.

ჩინელების გამორჩეული დიასპორა ამერიკაში[7]

ამერიკაში დაახლოებით 3.2 მილიონი ჩინელი ცხოვრობს. რიცხობრივად ჩინელები მეოთხე ყველაზე დიდი ჯგუფია ემიგრანტე-

[6] http://www.wisegeek.com/what-is-chinatown.htm
[7] http://www.migrationpolicy.org/article/chinese-immigrants-united-states-0#2

ბის სახით აშშ-ში, მექსიკის, ფილიპინებისა და ინდოეთის ემიგრანტების შემდეგ. ჩინეთის ემიგრაცია აშშ-ში სწრაფად გაიზარდა 1990 და 2000 წლებში. ბევრია უკვე ამერიკაში დაბადებულები ეთნიკური ჩინელი.

კალიფორნიაში ყველაზე ბევრი ჩინელი ემიგრანტი ცხოვრობს – 498 815 (31.8%), ნიუ იორკში – 349 133 (22.2%), ტეხასში – 69 402 (4.4%), მასაჩუსეტში – 68 626 (4.4%), ნიუ ჯერსში – 60 431 (3,8%) და ილინოისში – 53 502 (3.4%). 2000 და 2008 წლებში მარტო ორ ქალაქში ჩინელი ემიგრანტების რაოდენობა გაიზარდა 75 ათასი ადამიანით. როგორც აღვნიშნეთ 3.2 მილიონი ჩინელი ცხოვრობს აშშ-ში, აქედან 44.7% დაბადებულია ჩინეთში, ჰონგ კონგში და მხოლოდ 38,3 % არის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებული ან მის ტერიტორიაზე. დანარჩენი 17% დაბადებულია სხვადასხვა ადგილას, ძირითადად, აღმოსავლეთი ან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში, როგორებიცაა: ვიეტნამი, მალაიზია, ინდონეზია და კამბოჯა.

საშუალოდ, ჩინელი ემიგრანტები არიან ყველაზე ხნიერები (უფროსები) ვიდრე სხვა რომელიმე ემიგრანტული ჯგუფი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 7.7 % არის არასრულწლოვანი, 62.5% – შრომისუნარიანები მოზარდები (18-იდან 54 წლამდე), ხოლო 29.8% – ხანდაზმული ადამიანები (55 და ზემოთ). მთლიანი მიგრანტების 49.8%-ს ქალები შეადგენენ, 50.2%-ს – მამაკაცები.